საერთო გაზეთი

№26 (484) • 11 ივლისი, 2018წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

ძირგამოხერხილი სვანეთი

დარწმუნებული ვარ, შალვა თადუმაძე ღირსეული მთავარი პროკურორი იქნება

ავთანდილ არაბული:

დიახ, ეს ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული იდეოლოგიური დივერსიაა!

დავით „გადამრჩენელი“ და გიორგი „მოწყალე“, ანუ მკვდარს აკიდებული მკვდარი

ერმა ბედნიერების ნიჭი არ უნდა დაკარგოს

ქვეყანაში კიბოთი დაავადებულთა რიცხვი კატასტროფულ ზღვარს აღწევს

„საერთო გაზეთი“ – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის

ძირგამოხერხილი სვანეთი

წყალს სახერხი ჩამოჰქონდა...

სვანეთს თუ რამე დაღუპავს, პირველ რიგში, ხერხი და ნაჯახი დაღუპავს, რომლითაც ულმობლად იხერხება და იჩეხება სვანეთის ტყეები.

ბუნებამ, ნენსკრას სახით, უკვე გვაჩვენა ყვითელი ბარათი და სასტიკად გაგვაფრთხილა, რომ, იმ უმსგავსობას, რაც სვანეთში ხდებოდა და ხდება, არ გვაპატიებს და არ შეგვარჩენს.

გვესაუბრება სვანეთის მკვიდრი, რომელმაც თავისი ვინაობის გამხელა არ ისურვა.

— ბოდიშს ვუხდი მკითხველს, რომ ჩემს ვინაობას არ ვამხელ. ვაჟკაცი კაცი ასე არ უნდა იქცეოდეს, მაგრამ რა ვქნა, ისეთ სასტიკ ძალას ვეჯახები, რომელსაც შეუძლია დედაბუდიანად გამანადგუროს.

სვანეთის მოსახლეობამ შესანიშნავად იცის, რომ სვანეთს დიდი ხანია მაფიოზური კლანები მართავენ. ისინი აკონტროლებენ ყველაფერს — ბიუჯეტს, გრანტების განაწილებას, სხვადასხვა პროექტებს, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას, ხე-ტყის ბიზნესს და ა. შ.

ამ ადამიანებმა სვანეთის ხარჯზე მილიონები იშოვეს, პასუხის მომთხოვნი კი არავინ არ არის.

აბა, თუ დააკვირდით, რა ჩამოჰქონდა ადიდებულ ნენსკრას ხეებთან, ქვა-ღორღთან, სახლებთან და ხიდებთან ერთად?

რა ჩამოჰქონდა და სახერხი ქარხნები, რომელთა უმრავლესობა, ცხადია, არალეგალურად და უკანონოდ ფუნქციონირებდა.

ასეთი სახერხებით არის მოფენილი მთელი სვანეთი, რომელთა დიდი ნაწილი რამდენიმე გავლენიან ოჯახს ეკუთვნის, ხოლო დანარჩენი სახერხების პატრონები წილს უხდიან „ზემდგომებს“.

სხვანაირად აქ ვერ იმუშავებ — ყველა და ყველაფერი „ბოსების“ კონტროლს და მათ მიერ დაწესებულ ნორმებს ექვემდებარება.

უზარმაზარი ტყის მასივები იჩეხება სვანეთში, ნადგურდება უნიკალური ჯიშის ხეები, მაგრამ ამას ვერავინ ვერ „ამჩნევს“, ვერავინ ვერ „ხედავს“.

არადა, ხე-ტყით დატვირთული სატვირთოების ეშელონები ნემსი ხომ არ არის, ვერ დაინახო?

მოგეხსენებათ, არსებობდა გარემოს დაცვის სამინისტრო, თავისი მინისტრით, მინისტრის მოადგილეებით, საკმაოდ მრავალრიცხოვანი შტატი თ.

საინტერესოა, სხვას რას იცავდა ეს სამინისტრო, როცა არ იცავდა გარემოს.

საერთოდ, რატომ ერქვა ამ სამინისტროს გარემოს დაცვის სამინისტრო?

უფრო უპრიანი არ იქნებოდა, ამ ორგანიზაციისთის გარემოს გაჩანაგების სამინისტრო დაგვერქმია?

სამინისტრო კი გაუქმდა, მაგრამ ვინ აანაზღაურებს და ვინ დააბრუნებს უკან იმ ზარალს, რაც ამ სამინისტროს დანაშაულებრივი გულგრილობით სახელმწიფოს მიადგა არა მარტო სანეთში, არამედ მთელი საქართველოს მასშტაბით.

მხოლოდ გარემოს დაცვის სამინისტრო არ არის იმაში დამნაშავე, რაც სვანეთში ხდება — კრიმინალის გრძელი ჯაჭვია ეს, წვრილი და მსხვილი რგოლებით, რომელიც მთიდან ჩამოდის და პორტებამდე აღწევს, საიდანაც ეს გასაყიდად გამზადებული ხის მასალა უამრავი მიმართულებით ნაწილდება.

ვის ეყოფა სიმამაცე და ვინ შეძლებს ამ ჯაჭვის გაწყვეტას, არ ვიცი.

ახალი პრემიერ-მინისტრის მამუკა ბახტაძის განცხადებამ ადგილობრივ მოსახლეობას ცოტათი იმედი მოგვცა.

ბატონმა მამუკამ სტიქიის არნახული მასშტაბებით გამძვინვარების ერთ-ერთ მიზეზად სწორედ ხე-ტყის უკონტროლო ჭრა დაასახელა.

ამ განცხადებას დაუყოვნებლივ უნდა მოჰყვეს კონკრეტული ნაბიჯები სვანეთში არსებული მდგომარეობის შესასწავლად და დამნაშავეების გამოსავლენად.

ძალიან რთული, ძალიან მძიმე ბრძოლა მოელის პრემიერ-მინისტრს და მთავრობის ახალ შემადგენლობას სვანეთში სიტუაციის შესაცვლელად, მაგრამ ეს ბრძოლა ბოლომდე უნდა იქნას მიყვანილი. რადგან სხვა გამოსავალი არ არსებობს.

სვანეთის მოსახლეობა, ეს შრომისმოყვარე, წესიერი ადამიანები, რომლებსაც ისედაც მძიმე პირობებში უწევთ ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო პრობლემებთან გამკლავება, კიდევ უფრო დაღალა და დაქანცა იმ გაურკვეველმა, ბუნდოვანმა პერსპექტივამ, რაც ამ უნიკალურ კუთხეს ელოდება.

წლები გადის და დღემდე ზუსტად არ ვიცით, აშენდება თუ არა ხუდონჰესი.

ასევე არ ვიცით, აშენდება თუ არა ნენსკრაჰესი?

ჩვენ ისიც არ ვიცით, რაც გაკეთებულია, რა ზიანს აყენებს გარემოს და ის, რის გაკეთებასაც მომავალში აპირებენ, რა ახალ საფრთხეებს უქმნის სვანეთს.

დღემდე, აი, ასეთ გაურკვეველ მდგომარეობაში ვართ, რაც სერიოზული სტრესის ქვეშ ამყოფებს ადამიანებს, ხელს უშლის, დაგეგმონ საკუთარი ცხოვრება და ა. შ.

სვანეთს დროულად, დაუყოვნებლივ უნდა მიხედვა, თორემ ყველაფერს აქვს საზღვარი და, მათ შორის, სვანების მოთმინებასაც.

•

აი, ასეთი, მოსასმენადაც კი მძიმე და შემაშფოთებელი ამბები გვიამბო ჩვენმა სვანმა სტუმარმა.

ის ერთი პატიოსანი და წესიერი ადამიანია, რომელსაც სხვა არანაირი ინტერესები არ ამოძრავებს გარდა ერთისა — მის უმშვენიერეს და ულამაზეს სვანეთს ხარბმა და გაუმაძღარმა ადამიანებმა ისეთი ზიანი არ მიაყენონ, რომლის გამოსწორება, დროთა განმავლობაში, შეუძლებელი გახდება.

— ძირი აქვს გამოხერხილი სვანეთს და ამ უკულმართებს თუ დროულად არ გავაგდებინეთ ხელიდან ხერხი და ნაჯახი, ჩამოგვეშლება, წაგვექცევა სვანეთი, — გვითხრა სტუმარმა დამშვიდობებისას.

ძირგამოხერხილი სვანეთი — ფრაზა, რომელიც ამ წერილს სათაურად მივეცით, ჩვენს სტუმარს ეკუთვნის...

„საერთო გაზეთი“

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

დავით „გადამრჩენელი“ და გიორგი „მოწყალე“, ანუ მკვდარს აკიდებული მკვდარი

მკვდრების მიერ გაცოცხლებული ქვეყანა ჯერ არავის უნახავს და, ცხადია, ვერც ახლა ვნახავთ, თუმცა დავითი მაინც არ იტეხს იხტიბარს და მეორე მკვდარს ეჯაჯგურება – ჰე, ბიჭო, გაიღვიძე, თორემ, სადაცაა, მიწას მოგვაყრიან და საბოლოოდ დაგვმარხავენო

— ქვეყანა თავზე გვექცევა! ჩვენისთანა ჭკვიანი ერთი ასი კაცი შევიკრიბოთ და გადავარჩინოთო, — მისწერა დავითმა გიორგის.

ანდაზაა ასეთი: მკვდარი მკვდარს აეკიდა, სამარემდე მიმიყვანეო.

ისეა ამათი საქმეც — ერთი პოლიტიკურად მკვდარი პერსონა მეორე პოლიტიკურად მკვდარს არჩევნებამდე, ანუ პოლიტიკურ სამარემდე მიყვანას სთხოვს და ჰგონია, თუ ორი პოლიტიკურად მკვდარი გაერთიანდება, ორივე გაცოცხლდება და ქვეყანას გადაარჩენენ.

მკვდრების მიერ გაცოცხლებული ქვეყანა ჯერ არავის უნახავს და, ცხადია, ვერც ახლა ვნახავთ, თუმცა დავითი მაინც არ იტეხს იხტიბარს და მეორე მკვდარს ეჯაჯგურება — ჰე, ბიჭო, გაიღვიძე, თორემ, სადაცაა, მიწას მოგვაყრიან და საბოლოოდ დაგვმარხავენო.

ამ მეორეს კიდევ, როგორც ჩანს, გაღვიძება და გაცოცხლება მაინცდამაინც დიდად არ ეხალისება და მოუსვენარი და ცქვიტი დავითის ჯაჯგურზე ჯერჯერობით არ რეაგირებს.

ვერც გაამტყუნებ — დაიღალა კაცი პრეზიდენტობით და რა ქნას?

ხუმრობა საქმე ხომ არ არის ამდენი ვეტოს დადება, ამდენი ვისკის დალევა, ამდენი პატიმრის შეწყალება?

ვიღაც მოცლილმა დაიანგარიშა და გაარკვია, რომ პრეზიდენტი გიორგი დღეში ორ პატიმარს იწყალებდა.

მკვლევარებმა, ჯერჯერობით, ვერ დაადგინეს — როგორ ახერხებდა ამას მოწყალე გიორგი — ადამიანი რომ შეიწყალო, ჯერ მისი საქმე უნდა შეისწავლო, დაადგინო, ვინ არის, რა აქვს ჩადენილი და ხომ არ არის საშიშროება, შენგან შეწყალებულმა და „სვაბოდაზე“ გამოსულმა რაღაც ახალი უბედურება მოსწიოს ვინმეს.

დღეში ორი კაცის საქმე სკრუპულოზურად რომ შეისწავლო, სხვა არაფერი არ უნდა აკეთო, ელემენტარულად, სხვა არაფრისთვის არ გეყოფა დრო.

არადა, გიორგი სხვა რაღაც-რაღაცეების გაკეთებასაც ასწრებდა — სტუმრებსაც იღებდა, მთელ მსოფლიოში მოგზაურობდა, „ქართულ ოცნებას“ „ეშპილკავებოდა“, ქეიფობდა, კარტოფილს თესავდა, ქსოვდა, ხანდახან წაუფილოსოფოსებდა კიდევაც.

— ერთი ფილოსოფოსი მასწავლებელი გვყავდა. ნაკითხი კაცი იყო. სულ წიგნებში ჰქონდა თავი ჩარგული, მაგრამ ცხოვრებაში ძალიან დაბნეული და დაფანტული იყო.

ერთხელ ეს ჩემი ფილოსოფოსი მასწავლებელი სანადიროდ წავიდა, საღამოს კი უთოფოდ დაბრუნდა შინ.

— რა უყავი, კაცო, თოფი? სად დაკარგე თოფი? — შეეკითხნენ თანასოფლელები.

— მე თოფი არ დამიკარგავს. ის ხე დავკარგე, რომლის ტოტზეც თოფი ჩამოვკიდე, — უპასუხა ჩემმა ფილოსოფოსმა მასწავლებელმა. — იგონებს კობა არაბული.

მე მეჩვენება, რომ გიორგი მარგველაშვილმაც ის ხე დაჰკარგა, რომელზეც თოფი ჩამოჰკიდა, თუმცა დავითი არწმუნებს — შენ ოღონდ მე დამიჯერე და იმ ხესაც გაპოვნინებ და იმ თოფსაცო.

მართალია, სახელმწიფოებრივ-პატრიოტული მოტივებით კი აფერადებს დავითი ამ თავის ინიციატივას და გულმხურვალედ იფიცება, მე არაფერი მინდაო, თუმცა მისი საუბრის ქვეტექსტს თუ ჩაუკვირდები, მიხვდები, რომ დავითს, არც მეტი, არც ნაკლები, პრეზიდენტობა უნდა და სწორედ ამ მიზნის განსახორციელებლად აპირებს

გიორგი შეიამხანაგოს.

სხვათა შორის, დავითმა პირდაპირ მიანიშნა გიორგის, რომ მისგან დიდად არის დავალებული.

— პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, სულ რაღაც თვენახევარში, მარგველაშვილის გადადგომის საკითხი დადგა დღის წესრიგში. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რამდენი ვირბინე აქეთ-იქით, რომ ეს არ მომხდარიყო, — გაუმხილა საიდუმლო ქალბატონ ემა ტუხიაშვილს დავითმა.

გამოდის, რომ დავითს შეუნარჩუნებია გიორგისთვის პრეზიდენტობა.

ახლა დრო დადგა, გიორგი დაეხმაროს დავითს, გახდეს პრეზიდენტი.

ვალს გადახდა უნდა, ძმაო!

აი, ეს არის მთელი იწილო-ბიწილო იმ მაღალფარდოვანი და ჰეროიკულ-პატრიოტული განცხადებებისა, რასაც დავითი ბოლო ხანებში აკეთებს.

პრეზიდენტობა უნდა პატივცემულ დავითს, ძალიან, ძალიან უნდა, იმას კი არ კითხულობს, ქართველ ხალხს უნდა თუ არა პრეზიდენტად კაცი, რომელიც მთელი ცხოვრება კოსმოპოლიტურ იდეებს აფრქვევს და რომლისთვისაც საშობლო და საშობლოს მსახურება მეორეხარისხოვანი ცნებაა.

გარდა მარგველაშვილის გადარჩენისა, კიდევ ერთი „დამსახურება“ აქვს დავითს ქართველი ხალხის წინაშე — სწორედ მან გადაარჩინა „ნაციონალური მოძრაობა“ იმ მკაცრი განაჩენისგან, რომელსაც ის იმსახურებდა.

— ჩვენი მთავარი ამოცანაა, გადავარჩინოთ „ნაციონალური მოძრაობა“! — აი, ეს ლოზუნგი ისროლა პარლამენტის თავმჯდომარე დავითმა და თავის სულიერ ძმასთან — გიორგისთან ერთად ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ „ნაცმოძრაობა“ პოლიტიკურ ასპარეზზე დარჩენილიყო.

კოაბიტაციის ავტორი, რომელმაც „ქართული ოცნება“ საგრძნობლად დააზიანა და დააზარალა, დავით „გადამრჩენელია“ და არა სხვა ვინმე.

რამდენადაც ვიცით, სწორედ ის არწმუნებდა „ქართულ ოცნებას“, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა უარყოფითად

მიიღებდა იმ ფაქტს, თუ ხელისუფლება „ნაცმოძრაობის“ მიმართ მკაცრ სამართლებრივ სანქციებს გაატარებდა.

ასე რომ, არა მარტო მარგველაშვილი, „ნაცმოძრაობაც“ დიდად არის დავალებული დავითისგან და მას, როგორც ჩანს, გულის სიღრმეში იმედი აქვს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში „ნაციონალები“ ამ ვალს დააბრუნებენ.

დავითის მისამართით ზოგიერთები ხშირად აღავლენენ ხოლმე კომპლიმენტებს, თუმცა, სინამდვილეში, ის ერთი უიღბლო კაცია, რომელიც თავის დროზე რაიკომის მდივნობაზე ოცნებობდა, მაგრამ საბჭოთა კაშხირის მოულოდნელმა დაშლამ ეს ნანატრი ოცნება ჩაუშალა და სიმწრით მოკოვეებული პარტბილეთი ფარატინა ქაღალდად უქცია.

ასე შემორჩა დავითი დემოკრატიას და ეს კომუნისტი კაცი დემოკრატიული ფასეულობებისთვის და კოსმოპოლიტურ-გლობალისტური იდეებისთვის მებრძოლ პერსონად იქცა, თუმცა, თუ კარგად დააკვირდებით, ქვეცნობიერად ის მაინც რაიკომის მდივნად დარჩა — რომ ლაპარაკობს, რაიკომის მდივანივით ლაპარაკობს — თითქოს პარტბიუროს სხდომაზეა და ქვეშევრდომებს ინსტრუქციებს ურიგებს.

დავითი და გიორგი, გიორგი და დავითი — ეს ორი ადამიანი ქართული გვარ-სახელით, საქართველომ ვერ მიიღო და ვერ შეიყვარა, როგორც ქართველი პოლიტიკოსები, რადგან ბევრი რამ, რაც მათ პოლიტიკურ ბიოგრაფიასა თუ პირად ცხოვრებაში მომხდარა, ვერ ჯდება იმ ნორმებსა თუ ჩარჩოებში, რითაც ქართველი კაცი ქართველობს.

დავითისა და გიორგის პოლიტიკური კარიერა დამთავრდა! რაც უფრო მალე მიხვდებიან ისინი ამას, მით უფრო კარგი მათთვისაც და საქართველოსთვისაც.

ვახტანგ ხარჩილავა

ერმა ბედნიერების ნიჭი არ უნდა დაკარგოს

გვესაუბრება ფსიქოლოგი, ანალიტიკოსი რამაზ საყვარელიძე:

— ბატონო რამაზ, ბოლო დროს მიმდინარე მოვლენები ცხადჰყოფს, რომ სერიოზული ცვლილებების ჟამი დადგა. საინტერესოა, როგორ სახელმწიფოს ვაშენებთ დღეს, რამდენად სწორად ვითარდება ჩვენი ქვეყანა?

— ეს მარტივი შეკითხვა არ გახლავთ, არამედ საკმაოდ რთული საკითხია. ეს კითხვა — რამდენად სწორად ვითარდება ქვეყანა, ხშირად ისმის. სწორად განვითარებაში შეიძლება იგულისხმო პროცესები ბუნებრივად მიდის თუ არა, კარგისკენ მიდის თუ ცუდისკენ. შეიძლება ითქვას, რომ მოვლენები ბუნებრივად ვითარდება. ბოლოსდაბოლოს შემთხვევით ხომ არ არის ნათქვამი: ჯერ თავო და თავო და მერე ცოლო და შვილოო, ასევე, სხვისი ჭირი ღობეს ჩხირიო. ზოგადად, ყველა ქვეყნის ისტორიაში არსებობს გმირობის ეპოქა, რაც გარკვეულ პირობებში, გარკვეული ლიდერების, მათი მოწოდებებისა და

კონკრეტული პირობების წყალობით დგებოდა. თორემ, თუკი ადამიანებს თავის ნებაზე მიუშვებ, ისინი ბევრ ცუდ რამეს ჩაიდენენ. ასე ვითარდებოდნენ ქვეყნები ოდითგანვე. ძალიან არ უნდა ვიდარდოთ, რომ ჩვენს თავზე ხდება რაღაც საშინელება. იმ მეტნაკლებად მყიფე ღირებულებების, რომლებიც მერე ამა თუ იმ მოვლენების მიმართ ქვეყანაში მოქალაქეების დამოკიდებულებას აყალიბებს, ჩამოყალიბებასაც დრო უნდა. გავიხსენოთ, რამდენი დრო დასჭირდა იქამდე მისვლას, რომ ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს. ილიას ძირითადი დამსახურება სწორედ ეს არის — მან ეროვნული თვითშეგნება გააღვიძა. თორემ, ქართველები შეგუებულნი იყვნენ იმას, რომ რუსეთის იმპერიის ნაწილი ხდებოდნენ. ასე, რომ მოდით ყველა მოვლენას იმ კონკრეტულ დროსა და სივრცეში შევხედოთ, რომელშიდაც ვცხოვრობთ. ამ კონკრეტულ დროსა და სივრცეში კი როგორც კი თავის ნებაზე (ნახირის არ იყოს) მიშვებული აღმოვჩნდით, კიდეც დავანგრიეთ, კიდეც მოვიტაცეთ, ბევრი საშინელება, სისულელე ჩავიდინე თ. შეიძლებოდა სხვაგვარად მომხდარიყო? — არ ვიცი, ძალიან მეეჭვება. ამიტომ, ჩვენი რეალობის გათვალისწინებით, მივდივართ ისე როგორც უნდა მიდიოდეს ქვეყანა, ერი, რომელსაც არ დასცალდა საიმისოდ ჩამოყალიბება, რათა მდგრადი სახე ჰქონოდა. მარტო ჩვენ კი არა, ნებისმიერი ქვეყანა რევოლუციებმა, კატაკლიზმებმა საშინელ მდგომარეობაში ჩააგდო. წინა საუკუნის დასაწყისში მსოფლიოში ყველაზე ძლიერი ქვეყანა იყო რუსეთი ეკონომიურადაც, სამხედრო ძალითაც და ა.შ. გერმანელების შეგდებულმა რევოლუციამ მთელი რუსული სინამდვილე ისე ამოატრიალა, რომ ამხელა იმპერია ნაწილებად დაიშალა და ერთმანეთს ებრძოდნენ. საფრანგეთის რევოლუციამაც ბევრი უბედურება მოუტანა ფრანგებს და ა.შ. ასე, რომ ქვეყნებს ასეთი ეტაპები განვლილი აქვთ. ჩვენც გარდამავალ ეტაპზე ვართ. ამიტომ, არ უნდა გაგვიკვირდეს ის, რომ ამ გარდამავალი ეტაპის ზოგად კანონზომიერებებს საქართველო იმეორებს. მე ის მიკვირს, კიდევ უარესად რომ არ ვართ. სულ ჩივილსა და წუწუნში ვართ. ეს ჩემი სფეროც არის, ფსიქოლოგიას ვგულისხმობ — ადამიანი რომელიც სულ ტირის, ჩივის, ის ყოველთვის უბედური იქნება არა იმიტომ, რომ რეალობაა ცუდი, მას, უბრალოდ, ბედნიერების ნიჭი არ აქვს, იგი ასე ბედნიერების ნიჭს კარგავს, რაც, სხვათა შორის, ადრე გვქონდა. საუკუნეების მანძილზე მიუხედავად იმისა დაპყრობილნი ვიყავით თუ არა, ცხოვრების ხალისი, სიცოცხლის წყურვილის ნიჭი ყოველთვის გვქონდა. ახლა, უბრალოდ, რაღაც ეტაპი დაგვიდგა, იმედია დროებითი, როდესაც კარგ ტონად მიგვაჩნია ძახილი და წუწუნი, რომ ცუდათ ვართ. ამ დროს რეგიონში მყოფ სხვა ხალხებთან — სომხებთან, აზერბაიჯანელებთან და ა.შ., შედარებით ცუდად არ ვართ.

— დასაწყისში ახსენეთ, დიდი დრო დაგვჭირდა იმისათვის, რომ ჩვენი თავი ჩვენადვე გვყუდნებოდაო. დღეს, ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდვნის?

— რეალობას გავუწიოთ ანგარიში. ადრე, საქართველოს მეფე ვინ იქნებოდა, ეს საკითხი ისპაჰანში წყდებოდა. დღეს, ასეთი მდგომარეობა გვაქვს?

— პრობლემები სხვაც ბევრია. დღეს ყველა პარვაზე, ძარცვაზეა გადასული და არავინ ფიქრობს ქვეყანას რა არგოს.

— ამიტომ დავაყენე დასაწყისში საკითხი ასე — ბუნებრივად ვვითარდებით თუ კარგად. ეს, არაბუნებრივია, რომ ქვეყანაზე არ ფიქრობენ?! დავაკვირდეთ, განა ოდესმე ქვეყანაზე ფიქრობდნენ? თავადები ერთი მეორეს ღალატობდნენ, ჯარი არ გამოჰყავდათ დასახმარებლად. ისინი ფიქრობდნენ ქვეყანაზე?! თუ ეს ჩვენი ისტორია არ იყო?!

— ამიტომ, გკითხეთ დასაწყისში ცვლილებების ჟამი ხომ არ მოახლოვდა?

— რა რესურსით უნდა შევიცვალოთ უკეთესობისკენ?! ერეკლე მეორე ბრწყინვალე მხედართმთავარი იყო. ხმალი, პირადი გაბედულება და ვაჟკაცობა იყო მისი მთავარი რესურსი, რათა საქართველოსთვის ებრძოლა. დღეს, რა რესურსი გვაქვს? ინდივიდუალური რესურსები, ადამიანები გვჭირდება, რომელთაც ქვეყნის მართვა შეუძლიათ. ასევე, გვჭირდება საზოგადოება, რომელსაც სწორი არჩევანის გაკეთება შეუძლია. საზოგადოებას აქვს იმის უნარი სწორი პოლიტიკური ხედვა ჰქონდეს? — არ აქვს, ხომ. ხოდა თუ საზოგადოებას ეს არ აქვს, მაშინ რაღას ვიშვერთ თანამდებობის პირებისკენ ხელს — იპარავენო. მომპარავები ხომ საზოგადოებამ აირჩია, ვინმემ ძალით დაგვინიშნა? ამიტომ, ჩემთვის გაუგებარია რაღაცას რომ ვჩივით, ვის უჩივით — ჩვენს თავს?! ამ ტიპის ჩივილი აწუხებდა ილიას, რომელიც ამბობდა, რომ ქართველები არ ვარგიან. იგი არ ჩიოდა იმას, რომ იპარავენო. არამედ იმას ჩიოდა, რომ „ბედნიერი ერი" ვართ, რომელსაც სერიოზულად არაფრის კეთება არ შეუძლია. ამ გზით რატომ არ მივდივართ? ჩვენს ეროვნულ ხარვეზებზე რატომ არ ვლაპარაკობთ?

— ახლა ილია ახსენეთ. არამარტო იგი, არამედ მე-19 საუკუნის ქართული მწერლობა თავგამოდებით ცდილობდა ადამიანი თავისი ქვეყნის პატრიოტად და ჭეშმარიტ მოქალაქედ აღზრდილიყო...

— ნუ ვქმნით ლეგენდას. ეს იყო, შეიძლება ითქვას, ერთი ძალიან კარგი, ბრწყინვალე ჯგუფი, მაგრამ ამავე დროს, პარალელურად, იყვნენ ისინიც ვინც ილიას ტყვია ესროლეს.

რატომ ვკლავთ-ხოლმე, ეს კიდევ ცალკე საკითხია, მაგრამ ფაქტია, რომ ერში ერთიც არის და მეორეც. აკაკიმ ილიას დაკრძალვისას თქვა: თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ შენც მასთან ერთად უკვდავი იქნებიო. რამხელა ტკივილით ნათქვამი სიტყვაა. კარგად ჩანს, რომ ეს მხოლოდ მწერლისგან ნასროლი სიტყვა არ იყო, არამედ რეალობა. მიაჩნდათ, რომ საქართველო როგორც ასეთი, უნდა გაქრეს. დღეს ხომ ასეთი იდიოტიზმები აღარ გვაქვს. ეს ეტაპი გავიარეთ, ქვეყანა მაინც გადარჩა. ასე, რომ იმაზე ტირილი რომ არიქა, ახლა, დავიღუპებით და არაფერი არ გვეშველებაო, ქვეყნის მხრიდან, რომელსაც ამდენი რამ აქვს გამოვლილი, სწორად არ მეჩვენება.

— თქვენ ახსენეთ, საზოგადოებას არ შეუძლია სწორი არჩევანის გაკეთებაო. ეს სახელმწიფო ხომ ვერ იქნება ძლიერი, თუ მოქალაქე პატრონად არ ვარგა.



— სახელმწიფოსგან პატრონობას არა, მაგრამ თავი დაგვანებოსო, ითხოვდნენ მაგალითად, ამერიკაში. ამერიკა, ამერიკაო სულ რომ ვიძახით, ეს ის ამერიკაა, რომელიც თვლის, რომ სახელმწიფო მოქალაქის ცხოვრებაში მინიმალური უნდა იყოს. ჩვენ, ვაპირებთ ამერიკას მივბაძოთ, ამ დროს ვთვლით, რომ სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ადამიანზე. თვითონ ადამიანი ზრუნავს თავის თავზე?! ე.ი. აქ, უბრალოდ, სხვა თემაა წინ წამოსაწევი. ქართველი ვარგა თუ არა იმისთვის, რასაც ცხოვრება ითხოვს, ილიასდროინდელ ჩივილს ვუბრუნდები, საკითხავი ესაა. ილია ამბობდა: ახლა, კალამმა უნდა გაიმარჯვოს და არა ხმალმაო. იგი ცდილობდა ქართული ცნობიერება შეეტრიალებინა. ამ მიმართულებით ქართველებთან დაბეჯითებით ლაპარაკი უფრო უპრიანი იქნება, თორემ, მთელი საზოგადოების, ჟურნალისტების ძირითადი სასაუბრო თემაა, რომ ხელისუფლება არ ვარგა. ხელისუფლებას შენ ირჩევ და ვის უჩივი რომ არ ვარგა, გაუგებარია. თუ ასარჩევიც არ ვარგა, მაშინ ე.ი. ერს სხვა რამ უნდა მოუწოდო, თორემ რეალურად გამოდის, რომ ჩვენ, ერს მუდმივად რევოლუციისკენ მოვუწოდებთ, ასევე, იმისკენ, რომ უნდა გადავატრიალოთ, გავყაროთ, დედა ვუტიროთ. ამ დროს თუ პრობლემა ჩვენშია, რამდენი ხელისუფალიც არ უნდა გაყარო, მაინც ცუდი სახელმწიფო შეგრჩება იმიტომ, რომ გადამტრიალებელი ისევ ჩვენ ვართ. ჩვენ რომლებიც აზრზე არ ვართ რისთვის გვინდა ეს სახელმწიფო. ხშირად იმისთვისაც აწყობენ რევოლუციას, რომ ფულის აპარატთან თვითონ მივიდნენ და სხვა გვერდზე ჩააჩოჩონ. ამიტომ, ისევ რევოლუციური განწყობის მოტივირებაა — ხელისუფლება ადამიანს არ უვლის, ცუდია, ხომ ძირითადად ამის კულტივირებას ვახდენთ. საქმე ჩვენდაუნებლიედ იმ რევოლუციისკენ მიგვყავს, რამაც არაერთხელ დაანგრია ქვეყანა და ეტყობა, კიდევ გვინდა დაანგრიოს. ამიტომ, არის ჩემთვის ძალიან ხშირად გაუგებარი ის რასაც, მედიას არც ვიტყოდი, პუბლიცისტიკა აკეთებს, რომლის ერთ-ერთი ნაწილი მეც ვარ.

— სადღა არის პუბლიცისტიკა?

— პუბლიცისტიკა თუ არ არის, ესეც რისი ბრალია? ერთ-ერთ ცნობილი გაზეთის რედაქტორს, რომელთანაც თავის დროზე კამათი მქონდა გაზეთის ბედ-იღბალზე, ვუთხარი: ილიამ პუბლიცისტიკით შეატრიალა ქართული ცნობიერება-მეთქი. მან მიპასუხა: რა დროს ილიაა, ახლა, გაზეთი კომერციააო. ეს ადამიანები ჩვენს გვერდით, ჩვენთან ერთად არიან. რა უნდა ვქნათ, მათ ხომ არ დავხოცავთ. იქნებ რაღაც სხვა არის შესაცვლელი. კერძოდ, იქნებ ის არის შესაცვლელი, რომ ეს ძირითადი ლაიტმოტივი, რითაც ცხოვრობს ქართველი — ხელისუფლება ცუდიაო, გამოვცვალოთ. დავაკვირდეთ, იქნებ ჩვენ ვართ ცუდი. შევუძახოთ ერთმანეთს ისე როგორც ვუძახით-ხოლმე ნარკოტიკს ნუ მოსწევ, ცუდიაო. ეს შეძახილი მეტნაკლებად მოქმედებს, მერე, იმის მაინც რცხვენიათ თქვან რომ ვეწევიო. დღეს, მაგალითად, ასეთი შეძახილით მიღებულია, რომ საქართველო დამოუკიდებელი უნდა იყოს, სირცხვილია თუ ვინმე იძახის სხვას მივეკედლოთო. ეს მოსაწონია, ე.ი. შეძახილმა შედეგი გამოიღო. მაშინ იქნებ შევუძახოთ ადამიანებს, რომ მეტი მუშაობაა საჭირო, მეტი მოქმედება, მეტი ფიქრი. ჩვენ ადამიანებს — ქართველებს არაფერს არ ვავალდებულებთ. მარტო ხელისუფლებას ვავალდებულებთ ჩვენი რიტორიკით. ამიტომ, ადამიანები რჩებიან ისევ ისეთი უპასუხისმგებლონი, დაუდევარნი, ისევ გაქურდვაზე ორიენტირებულნი, როგორც თქვენ აღნიშნეთ. ადამიანები არიან შესაცვლელი და არა მარტო ხელისუფლება. იმიტომ, რომ ხელისუფლება ისევ იმ ადამიანებიდან იცვლება.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ქვეყანაში კიბოთი დაავადებულთა რიცხვი კატასტროფულ ზღვარს აღწევს

გიორგი ბურჯანაძე: ტერორისტი მარტო ის არ არის, ვინც შაჰიდის ქამრით დარბის. მოსახლეობის მასიურად მოწამვლას, დაავადებას და მოსპობას რომ ხელს უწყობს, ის ხალხი ქვეყნის ყველაზე დიდი მტერი და ტერორისტია

გაზაფხულის ქარიანი დღე იყო. სამსახურში შემაგვიანდა და ქუჩაში გამოსული კარგა ხანს ველოდე სახლისკენ მომავალ ტრანსპორტს. ჩემს გვერდით, ჩემს ბედში მყოფი ახალგაზრდა ქალიც ქარს ებრძოდა და იმავე სამარშრუტო ტაქსს ელოდა. ის იყო, სამარშრუტო ტაქსის გამოჩენის იმედი გადამეწურა და ალტერნატიულ ტრანსპორტზე ფიქრი დავიწყე, რომ ტაქსი გაჩერდა და ქალმა ხელი დამიქნია – ერთი მიმართულებით მივდივართ და გეპატიჟებითო. როგორც ტაქსის მძღოლების უმეტესობა, ჩვენიც ენაწყლიანი აღმოჩნდა და დანიშნულების ადგილზე მისვლამდე საშინაო და საგარეო პოლიტიკის ასპექტებიდან დაწყებული და ვალუტის კურსით დამთავრებული, ყველა საკითხი მიმოიხილა. ბოლოს, საქართველოში მძიმე დაავადებების ზრდის თემას რომ შეეხო, ქალმა მშვიდად თქვა – მეც კიბო მაქვს.. ალბათ, გამომეტყველება შემეცვალა, რადგან სწრაფად დაამატა – ექიმები იმედს მაძლევენ და ვიცი, რომ ყველაფერი კარგად იქნება. რატომღაც, მაშინვე დავიჯერე, რომ ყველაფერი მართლაც ძალიან კარგად იქნებოდა და მხიარული, შავთვალა ქალი კიდევ მრავალ ქარიან და მზიან გაზაფხულს შეხვდებოდა, მაგრამ სახლში მაინც გულდამძიმებული მივედი. ერთი თვის მერე ექიმებმა ჩემს კოლეგას სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს, მერე ჩემს უახლოეს მეზობელს, მერე ყოფილ თანამშრომელს, მერე კიდევ ერთი დიდი ელდა იყო და მივხვდი, რომ არავითარი აზრი არა აქვს, ვინ მოიგებს ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატს და გაგვიუქმებს თუ არა ევროპა უვიზოდ მიმოსვლის რეჟიმს, როცა ყველა სასიკვდილო საფრთხის წინაშე ვართ და არავინ იცის, შემდეგი ვინ იქნება.

რამდენიმე დღის წინ სოციალურ ქსელებში დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა თურქეთის ერთ-ერთი წამყვანი კლინიკის დირექტორის ქართველი მრჩეველის ინტერვიუს, სადაც ვინმე მალინა ბერიკაშვილი ამბობდა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში მის კლინიკაში საქართველოდან მომართვიანობა საგრძნობლად გაიზარდა და თვეში საშუალოდ, 50–80 პაციენტიდან მხოლოდ ათია მსუბუქი დიაგნოზით, დანარჩენს კი სხვადასხვა ფორმის სიმსივნე აქვს.

„საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი – ამ ქვეყნებში განსაკუთრებით დგას სიმსივნის საკითხი. ერთი კვირის წინ რომ ბავშვი კარგად იყო და ერთი კვირის თავზე ლეიკემიის დიაგნოზს უსვამენ, ასეთი შემთხვევაც გვქონდა.ე.ი არ არის საქმე კარგად. მოერიდეთ ბავშვების გასეირნებას ცენტრალურ ქუჩებზე. რუსთაველზე, პეკინზე, ცენტრალურ გამზირებზე საშინელი მდგომარეობაა. გამორჩელად დაბინძურებულია ნუცუბიძის ქუჩა, სადაც ფიჭური კავშირგაბმულობის ანტენები დგას, რომლებიც პირდაპირ ასხივებს რადიაციას. ეს მოქმედებს ლიმფურ კვანძებზე და სიმსივნეებს იწვევს“ – ეს ბერიკაშვილის სიტყვებია.

სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, საქართველოში კიბოს დიაგნოზით წელიწადში 10 000 ადამიანი ავადდება. გასულ წელს კი კიბოს დიაგნოზით 6 000 ადამიანი გარდაიცვალა. სპეციალისტები ონკოლოგიური პაციენტების რიცხვის ზრდას ადასტურებენ და დაავადების გაახალგაზრდავებაზე ამახვილებენ ყურადღებას. მათი თქმით, გარემო, რომელშიც ვცხოვროთ ტოქსიკური ნივთიერებებითაა დაბინძურებული, რომელიც ადამიანის ორგანიზმში აღწევს და სხვადასხვა დაავადების მიზეზი ხდება.

თბილისის მერიამ ქალაქში ჰაერის დაბინძურების პრობლემის მოსაგვარებლად კონკრეტულ ნაბიჯების გადადგმას დააანონსა. კერძოდ, იგეგმება ე.წ. ელიავას ბაზრობის გადატანა, მუნიციპალური ავტოპარკის განახლება და კერძო ტრანსპორტისთვის მკაცრი რეგულაციების დაწესება, თუმცა სპეციალისტების ნაწილი ფიქრობს, რომ მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებები არასაკმარისია და აუცილებელია დამატებითი ღონისძიებების გატარება. გვესაუბრება „იურიდიულ და ფიზიკურ პირთა უფლებების დაცვა-ანტიკორუფციული კავშირის“ თავმჯდომარე გიორგი ბურჯანაძე:

– საზოგადოებას ახსოვს, რომ ჩვენი კავშირი წლების მანძილზე ამ პრობლემაზე საუბრობდა და მოსახლეობას აფრთხილებდა, თუმცა სანამ „ურემი არ გადაბრუნდა“, ყური არავინ შეიბერტყა. დღეს ყველა ვხედავთ, რომ ონკოლოგიური და გულსისხლძარღვთა დაავადებების რიცხვი კატასტროფულად გაზრდილი და გაახალგაზრდავებულია. კარგია, რომ მერია სატრანსპორტო პოლიტიკის შეცვლას გეგმავს, მაგრამ გაუმართავი ავტოსატრანსპორტო საშუალებები და ჰაერის დაბინძურება ერთ-ერთი და არა ერთადერთი მიზეზია. ონკოლოგიური დაავადებების გახშირების მთავარი მიზეზი, რაზეც თავად ონკოლოგები საუბრობენ, ტყვიის შემცველი და მოწამლული საკვები პროდუქტებია. როგორც იცით, ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის დროს დახურეს ლაბორატორიები, რომლებიც სურსათის ხარისხს ამოწმებდნენ. რაც დახურვას გადაურჩა, კორუფციულ სქემაშია ჩართული. მათ ინტერესებში არ შედის სწორი დიაგნოსტიკა, ამიტომ მიმართვის შემთხვევაში თავიდან გიშორებენ და გეუბნებიან, რომ რეაქტივი არა აქვთ. სამი წლის წინ, როცა სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია იყო, კვლევა ჩავატარეთ და 12 აკრედიტებული ლაბორატორიიდან პროდუქციის შემოწმებაზე ყველამ უარი განაცხადა. მაშინ დანელია ძალიან გაბრაზდა და ლაბორატორიების უმეტესობა დახურა. დანარჩენებმა ამის მერე ორი თვე წესიერად იმუშავეს და მერე ისევ „აურიეს“. დაახლოებით 2 წელია, რაც საქართველოში ხმარებიდან ამოიღეს ნიტრატმზომები, რომლებსაც მსოფლიოს ყველა ქვეყანაში შეხვდებით. ეს არის მოწყობილობა, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევდა არჩევანი ჯანსაღ პროდუქტზე გაეკეთებინა. ახლა ამის საშუალებაც მოუსპეს და ამიტომაა, რომ მაღაზიის დახლეზე იხილავთ ნიტრატებით გაჯერებულ ხილ-ბოსტნეულს, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობაზე დამანგრეველ გავლენას ახდენს. დივერსიაა, როცა ხელისუფლება ხელს უწყობს ასეთი უვარგისი პროდუქციის გავრცელებას. ცალკე თემაა გენმოდიფიცირებული პროდუქცია..

– რომელიც უკვე კანონით აკრძალულია..

– რეგულაცია მიღებულია, ეტიკეტზეც დატანილია, რომ პროდუქტი ეკოლოგიურად სუფთაა, მაგრამ ხდება მასობრივი ფალსიფიკაცია. მაგალითად, რძის პროდუქტების 80% პალმის ზეთზე დამზადებული, ფალსიფიცირებული პროდუქტია. წლებია ვსაუბრობთ და ხელისუფლეისგან ვითხოვთ, რომ საშუალება მოგვცეს გენმოდიფიცირებულსა და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტს შორის არჩევანი თავად გავაკეთოთ, მაგრამ უშედეგოდ.. ასე, რომ მხოლოდ ავტომობილების ტექნიკური მახასიათებლების შემოწმება საქმეს ვერ უშველის. რაც შეეხება ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობას, სამწუხაროდ, დღეს საქართველოში კვალიფიციური სპეციალისტების ნაკლებობაა. პაციენტებისგან მეტი ფულის მიღების მიზნით ხდება ქიმიოთერაპიის კურსის ხელოვნურად „გაბერვა“. ანუ თუ 2 ქიმიოთერაპია საკმარისია, 4 და 5 უტარებენ, რაც უფრო ართულებს ვითარებას.

– ამის კონკრეტული ფაქტები გაქვთ?

– სულ ახლახან მომმართა ქალბატონმა, რომელიც საქართველოში უშედეგო მკურნალობის შემდეგ თურქეთში წავიდა. თურქულ კლინიკაში უთხრეს, რომ საქართველოში ჩატარებული ქიმიოთერაპიის ზედმეტმა კურსებმა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უფრო დაამძიმა. მეორე მაგალითსაც გეტყვით. სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნის წლები იყო. ჩემმა ახლობელმა, რომელიც კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტში მუშაობდა, სიმსივნით დაავადებული მეუღლე ერთ-ერთ კლინიკაში სამკურნალოდ მიიყვანა. ქალს ქიმიოთერაპიის 6 კურსი დაუნიშნეს, მაგრამ მკურნალობის დაწყებამდე საქმეში კუდის ხელმძღვანელობა ჩაერია. კლინიკაში გადარეკეს, უთხრეს, რომ ამ ქალის ქმარი მათი თანამშრომელი იყო და იცით, რა მოხდა? კლინიკამ 6 ქიმიოთერაპიის ნაცვლად, ორი კურსი დაუნიშნა. გამოდის, რომ თუ „უპატრონო“ ხარ და მაღალჩინოსანი ახლობლები არ გყავს, ფულის გამოძალვის მიზნით გაორმაგებული ქიმიოთერაპია უნდა ჩაგიტარონ, რაც ბოლომდე ანგრევს ჯანმრთელობას. ამიტომაა, რომ ასეთი პრობლემის დროს, ვისაც ფინანსური მდგომარეობა საშუალებას აძლევს, ყველა თურქეთში ან ევროპაში მიდის სამკურნალოდ. ჯანდაცვის სამინისტრო კონტროლის განახორციელების ნაცვლად, ასეთ კლინიკებს მფარველობს, რაც დარწმუნებული ვარ, უანგაროდ არ ხდება. თუ ასე არაა, ერთი საქმე მაინც მაჩვენონ, რომელიც კონსილიუმზე განიხილეს და პაციენტის სასარგებლოდ გადაწყდა. აი, ამიტომაა ქვეყანაში სრული განუკითხაობა და ჯანდაცვის სფეროში წარმატებებზე საუბარი სისულელეა. რომელ წარმატებაზეა საუბარი, როცა ჩვენი მოქალაქეები ლამის გრიპის სამკურნალოდაც კი თურქეთში გარბიან?

– ბუნებრივია, ის პაციენტები, რომლებიც უცხოეთში მკურნალობენ, საყოველთაო ჯანდაცვის სიკეთეებით ვერ ისარგებლებენ. ამიტომ უამრავი ოჯახი დღესაც ბინას ყიდის, რომ უცხოეთში მკურნალობა დააფინანსოს და ჩვენი მოქალაქეების ფული ქვეყნის გარეთ მიედინება.

– საყოველთაო დაზღვევის პაკეტში არის ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობისთვის გამოყოფილი თანხები, თუმცა, ეს არ არის მორგებული პაციენტის ინტერესებზე. ეს არის კორუფციული სისტემა, რომელიც მხოლოდ ფულის კეთებაზეა გამიზნული და არა პაციენტის ინტერესებზე. აი, ამიტომ არაა მხოლოდ გაუმართავ ტრანსპორტზე და მოწამლულ ჰაერზე საუბარი საკმარისი. აი, ამიტომ უნდა შეიქმნას დამოუკიდებელი კვლევითი ლაბორატორია, რომელიც საკვების ხარისხს გააკონტროლებს. აი, ასეთ საკითხებზე უნდა მუშაობდეს სახელმწიფო უშიშროების სამსახური. ტერორისტი მარტო ის არ არის, ვინც შაჰიდის ქამრით დარბის. მოსახლეობის მასიურად მოწამვლას, დაავადებას და მოსპობას რომ ხელს უწყობს, ის ხალხი ყველაზე დიდი ქვეყნის მტერი და ტერორისტია.

ნელი თორდია
571 35 36 88

ქართული სოფლის ტრაგედია

„რა ამოწყდეს გლეხიკაცი, საქართველო დაძაბუნდეს“

ვაგრძელებთ ინტერვიუს შპს „აგრორემმანქანასერვისის“ დირექტორთან, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ექსპერტ გივი ქურდიანთან.

როგორც გითხარით, გერმანელების 15-მილიონიანი საჩუქარი საქართველოს მთლიანად გაძარცვული სარწყავი სისტემის აღდგენას უნდა მოხმარებოდა. შევარდნაძემ ეს თანხა დავით კირვალიძის უწყებას გადასცა, სამინისტროში შექმნეს შპს, რომელიც ვითომ ხსენებულ სისტემას უნდა მომსახურებოდა და ეს თანხა მთლიანად მას ჩაურიცხეს. თანხას სია მოყვა, რომელ რაიონისთვის რამდენი ფული უნდა გამოეყოთ, კახეთსა და ქართლის რეგიონებზე იყო საუბარი. რაიონების ადგილობრივ სამსახურებს კი მისცეს ეს ფული, მაგრამ ჟვანიას წარმომადგენლები უკან მიყვნენ, ჩვენ გვჭირდებაო და უკან წამოიღეს. საპარლამენტო არჩევნების წინ ხდება ეს ამბავი. დოკუმენტაცია ისე შეადგინეს, თითქოს დარიგდა ფული, მაგრამ სინამდვილეში რას მოხმარდა, კაცმა არ იცის, დიდი ალბათობით ჯიბეში ჩაიდეს. ადგილობრივ სამსახურებს მხოლოდ საშემოსავლო, სოცდაზღვევის და საგზაო ფონდის გადასახადებისთვის საჭირო თანხა დაუტოვეს, რომ მათ ბიუჯეტთან ანგარიშსწორება მოეხდინათ. სოფლის მეურნეობის ადგილობრივი სამმართველოების ხელმძღვანელობა ეხვეწებოდა, ჟვანიას ხალხს, მთლიან თანხას არ ვითხოვთ, 20% მაინც დაგვიტოვეთ, ამ ფულით აღვადგენთ სარწყავ სისტემასო, მაგრამ ერთი თეთრი არ დაუტოვეს. მთელი საქართველოს მასშტაბით ვიცნობ სოფლის მეურნეობის სამსახურების თანამშრომლებს, მათგან ვიცი, რომ გენშერის „საჩუქრიდან“ არაფერი მიუღიათ.

იაპონია ყოველწლიურად ხუთ მილიონ დოლარს გვაძლევდა გრანტის სახით, მთლიანობაში დაახლოებით 45 მილიონი იქნება შემოსული, რომელიც მხოლოდ მარცვლეულის მოსაყვანი ტექნიკის შესაძენად იყო განკუთვნილი, მაგრამ ერთ წელს პრეზიდენტი საააკაშვილი დედასთან და ბებიასთან ერთად ესტუმრა იაპონიას, სასმელ წყალთან დაკავშირებით დიდი პრობლემა გვაქვს, ჩვენ ფინანსურად ძალიან გვიჭირს და წლევანდელი ხუთი მილიონი ამ საქმეზე დავხარჯოთო. გადმოარიცხინა იაპონელებს ეს ფული და „თბილისის წყალს“ მოახმარა. იაპონიაში განაცხადებს რა დანიშნულების და მარკის ტექნიკა გვჭირდებოდა, სოფლის მეურნეობის სამინისტროში არსებული კომისია ადგენდა, რომელსაც ბაკურ გულუა მინისტრობის დროს, მისი მოადგილე, მექანიზაციის დარგის სპეციალისტი ხუტა მამალაძე ხელმძღვანელობდა. კომისია მთლიანად დარგის სპეციალისტებით იყო დაკომპლექტებული, მეც იმ კომისიის წევრი ვიყავი. ჩვენ კი ვადგენდით განაცხადებს, მაგრამ ადგილზევე ვიღაცები ცვლიდნენ, თავიანთი შეხედულებისამებრ სვამდნენ ტექნიკის მარკებს. კირვალიძის გამინისტრების შემდეგ ყველაფერი აირია, დღემდე არაპროფესიონალები წყვეტენ ამ საკითხს, რაც ეტყობა კიდეც აგროსფეროს. იმ პერიოდში განაცხადში ჩავწერეთ, რომ 110 ცხენისძალიანი იტალიური წარმოების ტრაქტორი გვესაჭიროებოდა, რომელიც 15.000 დოლარი ღირდა. განაცხადი ვინც შეცვალა, იქ 81 ც/ძალის სიმძლავრის 28.000

აშშ დოლარად ღირებული იაპონური „კუბოტა“ ჩასვა. იაპონური გრანტით 2000–2005 წლებში საქართველოში ფინური „სამპოს“ და გერმანული „კლასის“ მარკის კომბაინები შემოვიდა, თითოეულის საბაზრო ფასი, 45–50 ათასი აშშ დოლარი იყო. 2011–2012 წლებში 25 ერთეული თურქეთში დამზადებული „ნიუ ჰოლანდის“ მარკის კომბაინი შემოიყვანეს, თითოეულის ღირებულება 100.000 დოლარია. არადა ორივე კომბანის ტექნიკური მაჩვენებლები ფაქტობრივად ანალოგიურია, განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ძვირადღირებული კომბაინები კომპიუტერულ სისტემაზეა აწყობილი, რაც დიდად არც გვესაჭიროება. არ არის ეს ათიათასობით დოლარის წყალში გადაყრა, სად აქვს ჩვენისთანა გაჭირვებულ ქვეყანას ამის ფუფუნება? 2003 წელს, იაპონიიდან ათი ერთეული მუხლუხა კომბაინი შემოიყვანეს, რომელიც ბრინჯის ასაღებადაა განკუთვნილი. ერთი კომბაინის ღირებულება 110.000 დოლარია, ჯამში 1.100.000 დოლარი. ბუნებრივია, ამ კომბაინებს დღემდე საერთოდ არ უმუშავიათ, ყრია ღია ცის ქვეშ და ლპება. მაინტერესებს, ვის მოუვიდა თავში ამ კომბაინების შესყიდვა, სად ნახეს საქართველოში ბრინჯის ყანა? ასე რომ, ამ შემთხვევაშიც ფული ქარს გაატანეს. ამათ ნაცვლად, გერმანული კომბაინები რომ შეგვეძინა, დღეს დამატებით ოცი კომბაინი გვეყოლებოდა. ხომ ხედავთ რა ხდება კახეთში, კომბაინები რომ არ გვყოფნის, ხალხს მოსავალი აუღებელი რჩება და უფუჭდება. დაახლოებით სამი წლის წინ, ქართლის ერთ-ერთ რაიონში ძალზე სამწუხარო ამბავი მოხდა, ფერმერმა დროზე რომ ვერ შეძლო კომბაინის ყანაში გაყვანა, კომბაინის მეპატრონე, შპს „მექანიზატორის“ თანამშრომელი დაჭრა. მე რომ მკითხოთ, ტყვია იმ პერსონას ეკუთვნოდა, რომელიც ძვირადღირებული და გამოუსადეგარი კომბაინების შემოყვანას ხელმძღვანელობდა. **არაპროფესიონალიზმმა წალეკა ქვეყანა, 11 წელი სოფლის მეურნეობის დეპარტამენტს პროფესიით გეოგრაფი თუ გეოლოგი კოტე ხუციძე ხელმძღვანელობდა. ის მერე ექიმით ჩაანაცვლეს, შპს „მექანიზატორმა“ რამდენიმე ხელმძღვანელი გამოიცვალა, თუმცა არცერთი არ ყოფილა მექანიზატორი და საერთოდ, სოფლის მეურნეობასთან შეხებაში მყოფი, ყველა იურისტი იყო დღევანდელის ჩათვლით. 2004 წლიდან მოყოლებული დღემდე ამ სფეროს ხელმძღვანელობაში არცერთი არ ყოფილა სპეციალისტი, ამის მერე კიდევ გვიკვირს, აგრარული დარგი რომ ნადგურდება.**

კვეზერელი რომ გვყავდა მინისტრი, ძროხას და ხარს რომ ვერ არჩევდა ერთმანეთისგან, მისი დროს შეიქმნა „მექანიზატორი“, რომელიც ხელისუფლების შეცვლის შემდეგ გადაკეთდა კერძო სტრუქტურად. კვეზერელის დროსაც შემოვიდა 12 მილიონის ტექნიკა, მაგრამ უკეთესობისკენ არაფერი შეცვლილა, პირიქით, ყველაფერი 2–3-ჯერ გაძვირდა. შემოიტანეს გაურკვეველი მარკის ტექნიკა, ვერაფერი გაუგეს. ზოგიერთ აგრეგატს იმხელა გაბარიტები ჰქონდა, გზაზე ვერ ეტეოდა, ტრაქტორს როგორ უნდა ჩაეტანა მინდვრამდე. საბრუნი გუთნები იყო, სათიბელები და ა.შ. რაშიც უამრავი ფული გადაყარეს. რომ გაუჭირდათ, მე დამიძახეს, ამხელა სიგანის სათესები და კულტივატორები რომ შემოიტანეთ, კახეთში გზაზე მანქანა თუ არა, ვირი ხომ მაინც შეგხვდებათ, გზა როგორ უნდა აუქციოს-თქო. ამ აგრეგატებს ტრანსპორტი და ამწე ჭირდებოდა, რომ მინდორში ჩაეტანა და ადგილზე ჩაება ტრაქტორს. ცუდი ტექნიკა არ არის, უბრალოდ ჩვენ არ გვაქვს იმხელა მიწის ფართობები, რომ ასეთი მოცულობითი ტექნიკა გამოვიყენოთ. 25.000 დოლარი გუთანი ღირდა, 60.000 დოლარი ტრაქტორი, რომელიც ამას ჩაიბამდა. საქმის პროფესიონალი და რაც მთავარია, წესიერი, პატრიოტი ადამიანი ამაში ფულს არ გადაიხდიდა, მით უმეტეს, როცა ქვეყანას ასე უჭირს. ყრია ახლა უმოქმედოდ ეს ძვირადღირებული ტექნიკა ქვეყნის მასშტაბით. შპს „მექნიზატორის“ ბაზაში რომ მივედით მე და ჩემი მეგობარი მექანიზაციის ექსპერტი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი ირაკლი დვალი, შიგნით არ შეგვიშვეს, არ აწყობდათ ჯართად დაყრილი ტექნიკა გვენახა. რომ გავიგე „ქართული ოცნებაც“ აპირებდა დავით კირვალიძის სოფლის მეურნეობის მინისტრად დანიშვნას, მე და ირაკლი დვალი მივედით ბიძინა ივანიშვილის ოფისში, სადაც მრჩევლად გუგული მაღრაძე იჯდა. ავუხსენით, რომ არაფრით არ შეიძლებოდა ამ კაცის მინისტრად დანიშვნა, მოვუყევით როგორ განადგურდა მისი მინისტრობის დროს ეს სფერო და ვთხოვე, ეს ყველაფერი ბატონი ბიძინასთვის გადაეცათ. გულშემატკივრის პოზიციიდან ვსაუბრობდით, თორემ სხვა რა ინტერესი უნდა გვქონოდა, რა ვქნათ, ამერიკელები გვაძალებენ, თუ არ დავნიშნავთ, დაფინანსებას შეგვიწყვეტენო. კირვალიძე რესპუბლიკელი ვახტანგ ხმალაძის სიძეა, ჟვანიას გუნდთან ერთად ისიც მფარველობდა. სწორედ ამ ხალხის დამსახურებაა კირვალიძისადმი „მსოფლიო დონის“ მხარდაჭერა, ისე, ეს ბატონი სხვა მხრივაც მისაღები კადრი იყო უცხოელი „დამფინანსებლებისთვის“. დანიშნეს მინისტრად კირვალიძე და ჩვეულ „რეჟიმში“ გააგრძელა უცხოეთიდან გაბერილი ფასებით ტექნიკის შემოყვანა, რომლის დიდი ნაწილიც გამოუსადეგარია. შპს „მექანიზატორს“, 200 მილიონის ლარის ტექნიკა აწერია, რაც დღეის მონაცემებით დაახლოებით 80 მილიონი დოლარია, ადრინდელი კურსით 120 მილიონი დოლარს უტოლდებოდა, ამ ტექნიკის მხოლოდ მცირე ნაწილს იყენებენ, დანარჩენები გაფუჭებულ-გაძარცვული ყრია ბაზის ტერიტორიაზე და სერვისცენტრებში. ამ ე.წ. კერძო სტრუქტურას, სახელმწიფომ რატომღაც უფასოდ მისცა ამდენი ტექნიკა, 20 მილიონამე ლარისას მარტო საწვავს ყიდულობენ,



სად მიდის ეს საწვავი, როცა თითქმის მთელი პარკი გაჩერებულია? თქვენ რომ წერდით, მთავრობამ ოთხი მილიონი გამოუყო „მექანიზატორსო“, რაში ჭირდებოდა მას ეს დაფინანსება, როცა ისედაც უფასოდ მისცეს ტექნიკა, ვაუჩერით გათვალისწინებული სამუშაოების გარდა რასაც ასრულებენ, ლამის ათმაგ ფასს ახდევინებენ მოსახლეობას, ამას კალკულაციების საფუძველზე გეუბნებით. ერთი პერიოდი ერთი ლიტრი დიზელის საწვავი 2.20–2.25 ლარი ღირდა, მომსახურეობაც ამ ფასის მიხედვით განსაზღვრეს. მერე 1.40 ლარზე ჩამოვიდა საწვავის ფასი, მაგრამ „მექანიზატორი“ მაინც ძველი ფასის მიხედვით ახდევინებდა მოსახლეობას ფულს. ამიტომაც იყო, ხალხმა მიწის დამუშავებაზე ხელი რომ აიღო. ირაკლი დვალი რაჭაში იყო ჩასული, ხვნა-თესვის სამუშაოების შესრულებას იმხელა ფასს ადებს „მექანიზატორი“, რომ ყველამ უარი თქვა მათ მომსახურეობაზეო. ამ ტექნიკას წინ და უკან რომ დაარბენინებენ ქვეყნის მასშტაბით, ესეც უზარმაზარი ფული ჯდება, ასეულობით კილომეტრს რომ გაივლის თავისი სვლით ტრაქტორი და კომბაინი, ფაქტია, მალე გამოვა მწყობრიდან. რატომ არ ყოფნით ტექნიკა, როცა ყველა სერვისცენტრი სავსეა ტექნიკით. ეს სერვისცენტრები ყველგან, ავტომაგისტრალების მიმდებარედაა, გარეცხილ-გაკრიალებული ტრაქტორები გარედან მტერს უბრმავებს თვალს, შიგნით კი უბედურება ტრიალებს, ყველა დაზიანებულია. მათ აღსადგენად თურმე ფული არ აქვთ, საიდან ექნებათ, როცა ხვნათესვიდან და სხვა სამუშაოებიდან რა ფულიც შემოდის, იმას ხელზე იღებენ და თვითონ ინაწილებენ, ბიუჯეტში თითქმის არაფერი შედის. იმ ფირმებს, რომლებსაც შესაბამისი ბაზა და სპეციალისტები გვყავს, ახლოს არ გვიკარებენ, ჩვენი სპეციალისტები ჩაატარებენ სარემონტო სამუშაოებსო. არადა, თითზე ჩამოსათვლელი სპეციალისტები თუ ეყოლებათ. დავინტერესდი, სად ხდებოდა დაზიანებული ტექნიკის აღდგენა-შეკეთება, სერვისცენტრებში გვაქვს სახელოსნო, რასაც ჩვენ ვერ შევძლებთ, ცენტრიდან, თბილისიდან ჩამოდიან სპეციალის-

ტებიო. სახელოსნოში, სადაც ერთი დაზგა აქვთ, რას გააკეთებენ? თურმე სარემონტო ბაზებიც აქვთ, ერთი მარნეულშია, მეორე საგარეჯოშიო, მარნეულში 16 კვ.მ ოთახია, სადაც ასევე ერთი დაზგა დგას, ხოლო საგარეჯოში ბაზის მისამართად კერძო პირის ეზო იყო მითითებული, სადაც ხეების მეტი არაფერი იყო. „მექანიზატორი“ ყოფილ კიროვის სახელობის ქარხანაში აფორმებს საბუთებს, ვითომ რაღაც ნაწილი გააკეთეს, ტექნიკა გაარემონტეს, სინამდვილეში ქაღალდზე ხდება ეს ყველაფერი, შეიძლება რემონტი არც იყოს საჭირო, მაგრამ ფულის ხარჯვა ხომ უნდა გაამართლონ. იყიდეს მიკროავტობუსები („ავ ენებს“ თუ დავუჯერებთ, ისინიც „გაბერილი“ ფასებით.) და დაარბენინებენ რეგიონებში ე.წ. სპეციალისტებს აღდგენა-შეკეთებაზე. ადმინისტრაციის გარდა, სადაც უამრავი თანამშრომელია (აქედან სულ ორი ადამიანია დარგის სპეციალისტი), ყველგან ამცირებენ თანამშრომლებს, მათ შორის მექანიზატორებს, მაგათ ვერ თუ არ ამცირებენ. ყველას საკუთარი მანქანა ყავს, კარგად მოიწყეს ცხოვრება. ექსპლუატაციის წესების დარღვევის გამო, ახალთახალი, 200.000-დოლარიანი ორი კომბაინი დაეწვათ და ვითომც არაფერი მომხდარა.

„მექანიზატორის“ დირექტორს პაატა შეყელაძეს შეეხვდით მე და ირაკლი დვალი, დავინტერესდით რა პრობლემები ჰქონდათ, თანამდებობას არავინ გეცილებათ, თქვენი არაფერი გვინდა, მთელი ცხოვრება მექანიზაციის დარგს ვემსახურებით, ამ ხნის ადამიანებს გული გვტკივა, ასეთი სავალალო მდგომარეობა რომ არის. ჩაატარეთ ობიექტურად ტენდერი, სადაც პროფესიონალები გაიმარჯვებენ, ყველაზე კარგი კომბაინი გერმანული „კლასია“, რომელიც

მაქსიმუმ 55.000 დოლარი ღირს, რად გინდოდათ ორმაგ და მეტ ფასში გამოუსადეგარი კომბაინები რომ შემოიყვანეთო, ვუსაყვედურეთ. წამომიხტა სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე Gგიორგი ჩხეიძე, შენ თუ პროვოკატორი არ ხარ, ვის გაუგონია კომბაინი 55.000 აშშ დოლარი ღირდესო. არადა ამ ფასად გვყავდა წინა წლებში შემოყვანილი. კომბაინის ხარისხი ხედერით (მოსავლის ასაღები მოწყობილობა), სიმძლავრით და იმის მიხედვით განისაზღვრება, ნამჯას რამდენ მარცვალს აყოლებს. „კლასის“ შემთხვევაში ეს დანაკარგი 3%-ზე ნაკლებია, დანარჩენები მეტს აყოლებენ, რუსული კომბაინების შემთხვევაში დანაკარგი 15% იყო. სერიოზულად შევკამათდით, როგორც მერე მითხრეს, შეყელაძე ვერაფერს წყვეტს, ყველაფერს ეს გიორგი განაგებსო. არაერთხელ მივწერეთ სამინისტროსაც და შპს „მექანიზატორსაც“, რომ ინფორმაცია მოეწოდებინათ, ტექნიკის რაოდენობის, დანიშნულების, წარმომავლობის და ღირებულების შესახებ, რაოდენობისა და მწარმოებლის შესახებ ინფორმაცია მოგვცეს, მაგრამ არაფრით არ ამხელენ რა ფასი ადევს თითოეულს ადგილზე, ტრაქტორი იქნება, კომბაინი თუ აგრეგატი და თვითონ რა ფასად შემოიტანეს. თურმე ეს საიდუმლო ინფორმაცია ყოფილა. ფასები თუ გაასაჯაროვეს, მაშინვე აშკარა გახდება, რომ ხელოვნურად არის გაზრდილი შესასყიდი ფასები, რაც ცხადია, არ აწყობთ. ადრეც გითხარით, რომ იაპონური გრანტის ფარგლებში შესაძენ ტექნიკასთან დაკავშირებით ტენდერი იაპონიაში ტარდებოდა, ნაციონალებმა რატომღაც ტენდერი ჩატარების ადგილი შეცვალეს, ინგლისში გადაიტანეს, სადაც მხოლოდ მათ მიერ შერჩეული ერთ-ერთი ფირმა მონაწილეობდა. მაშინ რა საჭირო იყო ტენდერი?! ამ ფირმამ შემოყარა უამრავი, თან სულ უვარგისი ტექნიკა, მარაგ ნაწილებიც ასეთივე უხარისხო მოყვა. არსებობს დიდი ეჭვი, რომ სამმაგ-ოთხმაგ ფასებში ხდებოდა შესყიდვა, რასაც თავისი მიზეზი აქვს. საქართველოში გამკონტროლებელი არავინაა, იმპორტირების დროს დგება ორი ფაქტურა, ერთში რეალური ფასია მითითებული, ზუსტი დოკუმენტია, მეორეგან კი სხვა ფასია ნაჩვენები. ვთქვათ, ერთი მილიონის საქონელს ვყიდულობ, მაგრამ ორ მილიონს ვურიცხავ გამყიდველს, სხვაობიდან გარკვეული თანხა მაც რჩება, დანარჩენი კი მე უნდა გადამირიცხოს ოფშორულ ზონაში. ასე შემოიყვანეს თითქმის გაოთხმაგებული ფასებით ტრაქტორები და კომბაინები, რომელთა უმეტესობასაც, როგორც გითხარით, საერთოდ ვერ იყენებენ. სამწუხაროდ, 2013 წლის შემდეგ, როცა კირვალიძე ხელმეორედ მოგვევლინა მინისტრად, უფრო აქტიურად გაგრძელდა ამგვარი მაქინაციები. 2000–2006 წლებში აგროსფეროში 102 მილიონი დოლარი გრანტია შემოსული, აქ არ იგულისხმება იაპონური გრანტი, ამას ემატება საბიუჯეტო დაფინანსება, სამინისტროს დაფინანსება ყოველწლიურად იზრდება, თითქმის 300 მილიონს გაუტოლდა, მაგრამ აგროსექტორი წინსვლის მაგივრად, უკან-უკან მიდის. აუცილებლად უნდა გავარკვიოთ ბოლო პერიოდში შემოსული ტექნიკის ფასი, ხელახლა უნდა მივწეროთ სამინისტროსა და შპს „მექანიზატორს“. ამ ტექნიკის ღირებულება ბოლომდე არც არის დაფარული, 2016 წლიდან მოყოლებული, ყოველწლიურად 25 მილიონ ლარს ვიხდით, თავიდან რამდენი გადაურიცხეს მწარმოებელ ქარხნებს არ ვიცი, ესეც გასარკვევია. ამ 200 მილიონი ღირებულების ტექნიკაზე, მიღების დღიდან დღემდე ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა.

– ბატონო გივი, სამართალდამცავი სტრუქტურები და პროკურატურა არასდროს დაინტერესდა ამ განუკითხაობით?

– კი დაინტერესდნენ, მაგრამ ამას ფორმალური, მოჩვენებითი ხასიათი ჰქონდა. იაპონელებმა გვითხრეს, გრანტის ფარგლებში შემოსული ტექნიკა გაყიდეთ მოსახლეობაზე თავის ფასში, მათ შორის განვადებითაც, ჩვენ დაფინანსებას რომ შეგიწყვეტავთ, საბრუნავი თანხა გექნებათ და დარგის განვითარებას მოახმარეთო. ამ მიზნით შექმნეს სამინისტროში საპარტნიორო ფონდი, ტექნიკას კი ყიდდნენ, მაგრამ ფონდში თითქმის არაფერი შეჰქონდათ, ამიტომაც ვერასდროს ივსებოდა. ეს ვითარება დღემდე გრძელდება. 2000–2006 წლებში რომელი ტენდერებიც ტარდებოდა, ყველაში ვმონაწილეობდი, ტექნიკა იყიდებოდა, მაგრამ ერთი თეთრი არ შესულა ბიუჯეტში. მერე შევარდნაძეს მიაწერინეს, ძალიან გვიჭირს, ტექნიკა არ იყიდება, რადგან ძვირია, ფასი დაუკლეთ და მერე როგორმე შევავსებთ ფონდის დანაკლისსო, ფაქტობრივად ცრუ ინფორმაცია მიაწოდეს იაპონელებს. მერე მათ ყურამდეც მივიდა, რომ განაცხადები იცვლებოდა, ტექნიკა ნიავდებოდა და გამოუშვეს თავიანთი წარმომადგენელი, წარმოშობით ყაზახი, რომელიც აქაურებზე უარესი აღმოჩნდა. ის ხედავდა აქ რასაც მაიმუნობდნენ, მაგრამ არაფერი გაუპროტესტებია, ყველაფერზე თვალს ხუჭავდა. იმ პერიოდში გაჭირვებულ ხალხს რაც კი ღირებული გააჩნდა, ყველაფერს ყიდდა შიმშილით რომ არ დახოცილიყვნენ. გეხსომებათ „მშრალ ხიდთან“ იყო ანტიკვარული ჭურჭლის ბაზრობა, ამ ყაზახი-იაპონელის ინტერესი მხოლოდ ეს ბაზრობა იყო. დაიბარებდა იაპონიიდან ცოლ-შვილს, დატვირთავდა ბაზრობაზე ნაყიდი ჭურჭლით და სახლში უშვებდა. ათი ცალი ბრინჯის ამღები მუხლუხოიანი კომბაინი და 25 ცალი „კუბოტას“ მუხლუხაოიანი ტრაქტორი (თითოეულის ღირებულება 28.000 აშშ დოლარი) სწორედ ამ წარმომადგენელმა შეიტანა განაცხადში. 50 ერთეული იტალიური წარმოების 110 ც/ძალიანი 15.000 დოლარად ღირებული ტრაქტორები უნდა მიგვეღო, ამ ყაზახ-იაპონელმა მათი რაოდენობა ოცით შეამცირა და მის ნაცვლად გაცილებით დაბალი სიმძლავრის, სამაგიეროდ უფრო ძვირადღირებული იაპონური „კუბოტა“ ჩაწერა. „კუბოტას“ წარმომადგენელმა ტრაქტორის ინგლისურენოვანი პასპორტი არ გამოაჩიანა, ქართულად ათარგმნინა, რაც სხვა ტექნიკაზე არ გაუკეთებია. მან აქ ვითომ იეშმაკა, თუმცა ბოლომდე ვერ გაიაზრა და თავი თვითონვე გაყიდა. იაპონიაში ტრაქტორების სიმძლავრე კილოვატებში იზომება. იმ „კუბოტას“ სიმძლავრე იყო 63.7 კვტ იყო, ცხენისძალებში კი 110 ეწერა. ერთი კვტ 1,27 ც/ძ-ს უდრის, ასე რომ, ამ შემთხვევაში 86.6 კვტ უნდა ყოფილიყო და არა 63.7. ამ ტრაქტორების ნაწილი მექანიზატორებმა უკან დაუბრუნეს სამინისტროს, რადგან ტრაქტორი ოთხკორპუსიან გუთანს ვერ ერეოდა. მე და ეს იაპონიიდან მოვლინებული სიღნაღში ჩავედით, რომ ადგილზე გვენახა ტრაქტორის მუშაობა. საკუთარი თვალით ვნახეთ, რომ მძლავრ და შესაბამისად დიდი გაბარიტის გუთანს ვერ ერეოდა. მან ხელით მანიშნა, გუთანი არ ვარგაო, მეც ხელით ვანიშნე, გუთანი კარგია, ტრაქტორი არ ვარგა-თქო. იქ კამათს აზრი არ ქონდა რადგან მან ქართული არ იცოდა, მე კი იაპონური და ინგლისური..

მეორე დღეს სამინისტროში შეეხვდი ტექნიკური სამსახურის უფროსს იგორ ტყებუჩავა, ვთხოვე „კუბოტას“ პასპორტი ეჩვენებინა. მას ორივე ენაზე (ინგლისურად და ქართულად) შევსებული პასპორტები აღმოაჩნდა. ინგლისურენოვანში ყველაფერი ზუსტად იყო, ქართულენოვანში კილოვატების გადასწორება დავიწყებოდათ, 86,6-ის მაგივრად, ისევ რეალური სიმძლავრე – 63.7 კვტ იყო მითითებული. იმ იაპონელს ორივე პასპორტი წინ დავუდე, კაბინეტში თარჯიმანიც ეჯდა, მიედ-მოედო რაღაცას, ახლა დრო არ მაქვსო, რაღა უნდა მეთქვა, უკან გამოვბრუნდი. მან ხსენებული ტექნიკის გარდა, ფიცარზე დაკრული ხელით სატრიალებელი სიმინდის ტაროს საფშვნელი (ასეთ „დანადგარს“ ჩემს ბავშობაშვი ვიყენებდით) და გენერატორზე მომუშავე მწვნაილის მარცვლის საფრქვევიც შემოიტანა. მივწერე სამინისტორს, რომ იაპონიის ქმედებამ საერთო ჯამში 1.372.000 აშშ დოლარი გვაზარალა, მაგრამ რეაგირება არავის არ მოუხდენია, პრეტენზია რომ გამოვთქვათ შეიძლება გრანტები შეგვიწყვიტონ, ეს იყო სამინისტროს პასუხი. ამის შემდეგ, ისე, რომ არავისთვის მიკითხავს, თვითონ მივწერე იაპონიის მთავრობას წერილი, უზომოდ მადლობელი ვართ დახმარებას რომ გვიწევთ, რომ არა თქვენს მიერ გრანტებით შეძენილი ტექნიკა, შიშილით ამოვწყდებოდით. „ამომავალი მზის“ ქვეყანა ხართ, ჩვენთვის სიცოცხლეც თქვენგან მოდის. ვიცი თქვენთან უფროს- უმცროსობის კულტურა რა დონეზე განვითარებული, ამიტომ ძალიან მიკვირს თქვენი წარმომადგენლის, წარმოშობით ყაზახის საქციელი. ის არის უზრდელი, უცოდინარი, თავისებურად ცვლის განაცხადებს. მხოლოდ იმითაა დაკავებული, რომ როგორმე სახლში გაგზავნოს სხვადასხვა სახის საქონელი. უმორჩილესად გთხოვთ, გაიწვიოთ ეს ადამიანი და ნორმალური წარმომადგენელი გამოგვიგზავნოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მასალებს პროკურატურას გადავცემ-თქო. რამდენიმე კვირს შემდეგ, ბაქოდან იაპონიის საელჩოს ორი წარმომადგენელი ჩამოვიდა. დამიბარეს სამინისტროში, იგორ ტყებუჩავას კაბინეტში ესენიც და ყაზახ-იაპონელიც. ნაწყენი ტონით მელაპარაკებოდნენ, თარჯიმანს არც დავაცადე, წინასწარ მადლობა გადავუხადე ამდენი სიკეთისთვის და ისიც ვუთხარი, რომ თუ ამ პიროვნებას არ წაიყვანდნენ, პროკურატურას მივმართავდი. საელჩოს წარმომადგენლებმა შეისწავლეს ადგილზე ვითარება, ქართულ პურ-მარილიც არაერთხელ დააგემოვნეს, რასაც ეს იაპონელი ყაზახიც ესწრებოდა. ეს კაცი, რომ დალევადა, სუფრასთან საშინლად იქცეოდა, მერე ფეხსაცმელსაც არ იხდიდა, ისე წვებოდა საწოლზე. სამეგრელოში რომ იყვნენ ჩასული, საელჩოს წარმომადგენლებს იგორ ტყებუჩავასთვის უკითხავთ, ეს აქ გახდა ასეთი თუ თავიდანვე ასე იყოო? ქართველებს არაფერში მიგვიძღვის ბრალი, ჩამოსვლის დღიდან ასე იქცევაო, იყო პასუხი. საელჩოს თანამშრომლების წასვლიდან ერთ კვირაში, ეს ყაზახიც გაიწვიეს და მას შემდეგ საერთოდ აღარ გამოუშვია წარმომადგენელი იაპონიას.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

(გაგრძელება იქნება)

ძლიერი რეგიონები ძლიერი

კახეთის რეგიონში

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა მაია ცქიტიშვილმა კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორ ირაკლი ქადაგიშვილთან ერთად სამუშაო შეხვედრა გამართა კახეთის რეგიონში შემავალი ყველა თვითმმართველი ერთეულის მერებთან და საკრებულოს თავმჯდომარეებთან. შეხვედრას ესწრებოდნენ აგრეთვე: პარლამენტის მაჟორიტარი-დეპუტატები, მინისტრის მოადგილეები, მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორი და გუბერნატორის მოადგილეები.

კახეთის რეგიონის ეკონომიკური განვითარების კონცეფციის პრეზენტაციის დროს ყურადღება გამახვილდა კახეთის რეგიონში სასმელი წყლის პრობლემის ეტაპობრივად მოგვარებაზე, ღვინის მუზეუმის, ტურისტული დანიშნულების ადგილების, ტურისტულ ობიექტებამდე მისასვლელი გზებისა და მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარებაზე. ეკონომიკური განვითარების კონცეფცია გულისხმობს კახეთის ოთხივე სეზონზე მასპინძელ რეგიონად ჩამოყალიბებას.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ განიხილეს 2019 წლის პრიორიტეტული მიმართულებები. კახეთი პირველი რეგიონია, სადაც ცენტრალური ხელისუფლების, სამხარეო ადმინისტრაციისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ერთად იმსჯელეს სამომავლო განვითარების პერსპექტივებზე და კონკრეტული პროექტები დაგეგმეს.

გურჯაანის მუნიციპალიტეტში

● სოფელ ვეჯინში მუნიციპალიტეტის მერიისა და ორგანიზაცია „საქართველოს წითელი ჯვრის“ ორგანიზებით უფასო სამედიცინო გამოკვლევების აქცია გაიმართა.

მოსახლეობას საშუალება ჰქონდა გამოეკვლია მუცლის ღრუ და ფარისებრი ჯირკვალი ექოსკოპიის მეშვეობით, ჩაეტარებინა კარდიოლოგიური გამოკვლევა და სისხლის ანალიზი შაქრის დონის დასადგენად.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერი არჩილ ხანდამაშვილი სამედიცინო აქციის მიმდინარეობას პირადად გაეცნო.

უფასო სამედიცინო კვლევები მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელში უკვე ჩატარდა და მომავალშიც იგეგმება.

დედოფლისწყარო

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში

● დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ალოობა აქტიურ ფაზაში შევიდა. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი დედოფლისწყაროს ეწვია და სიღნაღი-დედოფლისწყაროს მაჟორიტარ ირაკლი შიოლაშვილთან, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერ ნიკოლოზ ჯანიაშვილთან და რეგიონის გუბერნატორ ირაკლი ქადაგიშვილთან ერთად შირაქის ველზე ხორბლის მოსავლის აღების პროცესს დაესწრო.

დედოფლისწყაროში თავთავიანი კულტურის მოსავლის აღებას შპს „მექანიზატორი“ ახორციელებს. კახეთის რეგიონში ალოობის პროცესს 103 ერთეული კომბაინი უზრუნველყოფს, აქედან დედოფლისწყაროს სერვისცენტრში 49 კომბაინია მობილიზებული. მოსავლის აღებაში ჩართულია ბელარუსული წარმოების ახალი კომბაინებიც, რომლებიც შპს „მექანიზატორმა“ წელს შეიძინა.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში

● სოფელ ჭაბუკიანში სასოფლო-სამეურნეო სავარგულებამდე მისასვლელი გზის კაპიტალური რეაბილიტაცია მიმდინარეობს. გზის მონაკვეთი 2700 მეტრია და სამუშაოების შესრულების პროცესში 4000 მ³ ქვიშა-ხრეშოვანი მასალა იქნება შეტანილი. სოფ. ჭაბუკიანის, გვიმრიანის, ქვემო ნაშოვარის მოსახლეობა საკუთარ ნაკვეთებთან შეუფერხებლად მისვლას და მოსავლის ტრანსპორტირებას შეძლებს. სულ 2018 წელს სავარგულებამდე მისასვლელი ათი კილომეტრის გზის რეაბილიტაცია იგეგმება.

● სოფელ აფენში ცხაკაიას ქუჩაზე მოეწყობა ჭაბურღილი და სასმელი წლის მაგისტრალი, დამონტაჟდება საუბნო ონკანები და მოსახლეობა უზრუნველყოფილი იქნება სასმელი წყლით. 100 000 ლარის ღირებულების პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში

● 5 ივლისს გაიხსნა ნოდარ დუმბაძის მეორე საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი, რომელიც მწერლის დაბადებიდან 90 და ოზურგეთის თეატრის დაარსებიდან 150 წელს ეძღვნება.

უკვე მეორედ, ოზურგეთის თეატრი ნოდარ დუმბაძის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალს მართავს. თეატრალური ფორუმი მოიცავს ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებების მიხედვით დადგმულ სცენურ ინტერპრეტაციებს როგორც ქართული პროფესიული, ისე უცხოური თეატრების სცენებზე.

ფესტივალში წელს 13 პროფესიული თეატრი მონაწილეობს, მათ შორის 3 უცხოური დასი აზერბაიჯანიდან და რუსეთიდან. ფესტივალზე განჯის სახელმწიფო დრამატული თეატრი „ჰელადოსს“ წარმოადგენს, ხოლო მოსკოვის თეატრი „ნიკიტას კარიბჭე“ ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ ორიგინალურ ვერსიას გვთავაზობს. პერმის თეატრი ქართველი მაყურებლის წინაშე წარდგება სპექტაკლით „ზურიკელა“.

დუშეთის მუნიციპალიტეტში

● ქვეშეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ლაკათხევში, სოფელ ნაღვარევსა და სოფელ გვიდაქეში, სტიქიის შედეგად დაზიანებული სამი ხევის გაწმენდა გამოდარებისთანავე დაიწყო. ამ ეტაპზე სამუშაოები უკვე დასრულებულია სოფ. ლაკათხევში და მიმდინარეობს სოფელ ნაღვარევში, რომლის დასრულების შემდეგ გაიწმინდება და ამოღრმავდება აგრეთვე სოფელ გვიდაქეს ხევი.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში

● დაიწყო ზუგდიდის საჭადრაკო სკოლის რეაბილიტაცია. არსებულ ერთსართულიან შენობას დაემატება მეორე სართული, სადაც განთავსდება დამატებითი საკლასო ოთახები, შეჯიბრების გასამართი დარბაზი და სანიტარიული ოთახი. შენობა სრულად იქნება ადაპტირებული შშმ პირთათვის.

საჭადრაკო სკოლაში ამჟამად 180 ბავშვი სწავლობს. შენობის რეაბილიტაციის შემდეგ სწავლას 300-ზე მეტი მსურველი შეძლებს.

სკოლის რეაბილიტაცია საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსებით ხორციელდება.

ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერია

● ფოთში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ახალი შენობა გაიხსნა. საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ფოთის რაიონულ სამსახურს ევროსტანდარტების შესაბამისი რეანიმობილი გადაეცა.

ადმინისტრაციული ფართი საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის დირექტორმა ავთანდილ თალაკვაძემ ფოთის მაჟორიტარ დეპუტატ ირაკლი ხახუბაიასთან, მუნიციპალიტეტის მერ გოჩა კურდღელიასთან და საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი კაკულიასთან ერთად გახსნა.

ახალ შენობაში პერსონალის მუშაობისა და მოსვენებისთვის ყველა პირობაა შექმნილი. ცენტრი აღჭურვილია საყოფაცხოვრებო და კომპიუტერული ინვენტარით. შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტოპარკისთვის სპეციალური სივრცეა მოწყობილი. ახალი რეანიმობილის საშუალებით კლინიკებს შორის კრიტიკული პაციენტების ტრანსპორტირება რეგიონში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ოპერატიულობას გაზრდის.

პროექტი ფოთის მუნიციპალიტეტის, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხელშეწყობით განხორციელდა.

მარტვილის მუნიციპალიტეტში

● ქალაქ მარტვილში თამარ მეფის ქუჩაზე გზის რეაბილიტაცია დაიწყო. პროექტი ასევე მოიცავს ოქტომბრის, ნ. გეგიას, შეროზიას, წერეთლის, დადიანისა და კალინინის ქუჩების რეაბილიტაციას. სულ დაიგება 3 500 მეტრი ასფალტბეტონის საფარი.

მიმდინარე სამუშაოებს მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე დავით სურმავა გაეცნო.

პროექტის ღირებულება 607 995 ლარს შეადგენს. სარეაბილიტაციო სამუშაოები საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დაფინანსებით ხორციელდება

გურჯაანი

სენაკის მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტში დაიწყო მზადება სკოლებში აგრარული პროფილის პროგრამის განხორციელებისთვის. გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) წარ-

საქართველოსთვის

მომადგენელი სამეგრელო-ზემო სვანეთში მაია მიქავა მუნიციპალიტეტის მერიის, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სენაკის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის, მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლებსა და საჯარო სკოლების დირექტორებს შეხვდა. მერიის სხდომათა დარბაზში გამართულ შეხვედრაზე განიხილეს სენაკის საჯარო სკოლებში საპილოტო პროექტის სახით სადემონსტრაციო ნაკვეთებისა და სახელობო-საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შესაძლებლობა.

პროექტის მიზანია მოსწავლე-ახალგაზრდობაში სოფლის მეურნეობის დარგის პოპულარიზაცია, აგრარული მეურნეობის გამართვის პრაქტიკული მეთოდებისა და ცოდნის განვითარებით ფერმერებში ახალი ტექნოლოგიებისა და შესაბამისი უნარ-ჩვევების დანერგვა.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტში დაიწყო აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ქიმიური წამლობის მესამე ეტაპი. წამლობისგან მაღალი ეფექტის მისაღებად სოფლებში კონკრეტული უბნები თერმული ნისლის ტექნოლოგიის გამოყენებით მუშავდება. სოფელში თერმული ნისლის აგრეგატით აღჭურვილი მაღალი გამავლობის 12-მა ავტომობილმა იმუშავა.

მავნებლის საწინააღმდეგო კომპლექსური მოქმედებისთვის ყველა რესურსია მობილიზებული და ეტაპობრივად ყველა სოფელი დამუშავდება.

მარნეულის მუნიციპალიტეტში

● ქალაქ მარნეულში, № 1 საჯარო სკოლის მშენებლობა დაიწყო, რომლის მიმდინარეობის პროცესს მერის მოვალეობის შემსრულებელი ზაურ ტაბატაძე ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო. ხელისუფლების წარმომადგენლებმა პროექტის განხორციელება მნიშვნელოვნად და ერთ-ერთ წინგადადგმულ ნაბიჯად შეაფასეს საგანმანათლებლო სფეროში.

ქალაქ მარნეულის № 1 საჯარო სკოლის მშენებლობა სახელმწიფოს 1514760 ლარი დაუჯდება. სამუშაოები 6 ივლისს დაიწყო და 2019 წლის აპრილში დასრულდება. სკოლა 196 ბავშვზეა გათვლილი.

ბოლნისის მუნიციპალიტეტში

● ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფლებში საგზაო ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა წელსაც გრძელდება. სოფელ რაჭისუბანში მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდება. მუნიციპალიტეტმა შიდა საავტომობილო გზებზე საფარის დასაგებად ელექტრონული ტენდერი რამდენიმე დღის წინ გამოაცხადა. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 500 000 ლარია.

19 ივლისს გამოვლინდება გამარჯვებული კომპანია, რომელმაც სამუშაო ხელშეკრულების გაფორმებიდან 80 დღეში უნდა დაასრულოს.

წალკის მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტის მერმა ილია საბაძემ შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის“ ბედიანის ფსიქიატრიულ კლინიკას საჩუქრად გადასცა 160 საწოლისთვის გათვალისწინებული სრული კომპლექტი.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში

● დაბა მანგლისის საზოგადოებრივ ცენტრში მოსახლეობასთან გამართულ შეხვედრაზე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების მიმდინარე პროცესი განიხილეს.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი 2018 წელს შეუერთდა ევროკავშირის ინიციატივას „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ და იტვირთა ვალდებულება, სამოქალაქო საზოგადოების, ბიზნესსექტორის, არასამთავრობო ორგანიზაციების, ახალგაზრდების, მცირე მეწარმეების აქტიური ჩართულობით, შეიმუშაოს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმა, რომელიც სრულყოფილად უნდა ასახავდეს საზოგადოების ინტერესებსა და განვითარების სასურველ მიმართულებებს.

გეგმის შემუშავების პროცესი ითვალისწინებს კონსულტაციებს ყველა დაინტერესებულ მხარესთან. მოსახლეობამ სპეციალური კითხვარის საშუალებით წარმოადგინა საკუთარი მოსაზრებები მუნიციპალიტეტის განვითარების შესახებ.

ბოლნისი

თეთრიწყარო

ღ ი ა   წ ე რ ი ლ ი
პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარეს ბატონ ბიძინა ივანიშვილს

ბატონო ბიძინა,

საქართველოს ხელისუფლების მიერ 2017 წლის 27 ოქტომბერს გაკეთებული განცხადების-“აფხაზური ენის დაცვისა და განვითარების სახელმწიფო პროგრამის შექმნის შესახებ”- შემდეგ არ დამიტოვებია თითქმის არც ერთი სახელმწიფო სტრუქტურა, ვისთვისაც არ გამეგზავნა ამავე შინაარსის წერილი, თუმცა, სამწუხაროდ, შედეგი ჯერჯერობით არ ჩანს.

ბოლო 25 წელია სრულიად საქართველო, ერი და ბერი, ძალისხმევას არ იშურებენ, რომ აღდგეს კეთილგანწყობა ქართველებსა და აფხაზებს შორის. სასურველია, გაცხადებულ პროგრამაში ერთ-ერთ საკითხად შევიდეს საქართველოს ეროვნული ვალუტის კუპიურებზე (მათი განახლების კვალობაზე) ნომინალის აღმნიშვნელ, ქართულ და ინგლისურ ენებზე წარწერებთან ერთად, აფხაზური წარწერის დატანაც. ამას განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, თუნდაც იმის გამო, რომ აფხაზ ხალხს საქართველოში სახელმწიფო წარმონაქმნი აქვს და თავიანთ სახელმწიფო ენაზე – **აფხაზურად** – უნდა შეეძლოს ფულის ნიშანზე გამოსახული ნომინალის წაკითხვა. ახლო წარსულს თუ გავიხსენებთ, ფაქტობრივად უნიტარულ სახელმწიფოში, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, ფულის ნიშანზე თხუთმეტივე რესპუბლიკის ენაზე იყო სათანადო წარწერა.

რამდენადაც ვიცი, ამჟამად განახლების პროცესშია 10 ლარიანი კუპიურა აკაკი წერეთლის პორტრეტით. თუ მოესწრება (ეროვნული ბანკიდან მიღებული ოფიციალური ინფორმაციით დასაბეჭდად არის ჩაშვებული), ჩემი ღრმა რწმენით, აფხაზური წარწერის დატანას პირველად ამ ბანკნოტზე დიდი სიმბოლური დატვირთვა ექნება – **„გამზრდელის“** ავტორის მიმართ აფხაზი ხალხის განსაკუთრებული დამოკიდებულების გათვალისწინებით.

ამასთან ერთად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია კიდევ ერთი ნაბიჯის გადადგმა და გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის **ბაგრატ III**-ის (ის საქართველის ეკლესიის მიერ წმინდანად არის შერაცხული) და აფხაზური ლიტერატურის კლასიკოსის **დიმიტრი გულიას** პორტრეტით, აფხაზეთის სხვადასხვა ღირშესანიშნაობებით (ბედიის მონასტერი, ბიჭვინთის სანაპირო, რიწის ტბა და ა.შ.) ოცდახუთლარიანი ბანკნოტის გამოშვება. როგორც ცნობილია, ასეთი ნომინალის ლარის კუპიურის დაბეჭდვა არ არის გათვალისწინებული და ამ წინადადებას გარკვეული წინააღმდეგობები შეიძლება შეხვდეს, მაგრამ ეროვნულმა ბანკმა, შესაძლოა, ამ შემთხვევაში გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ ამ ნომინალის კუპიურა საკმაოდ მოთხოვნადი იყო ახლო წარსულში და მისი გამოშვება არ უნდა იყოს ურიგო.

ჩვენი აზრით, ამ ინიციატივის რეალობად ქცევა, გარკვეულწილად, ხელს შეუწყობს ქართველთა და აფხათა შორის ნდობისა და, როგორც, აღნიშნული განცხადების გაკეთების დროს ითქვა, დამწვარი ხიდების აღდგენას.

ღრმა პატივისცემით,
ვასილ ჯოშკარიანი,
სს „საქართველოს ბანკის“
აფხაზეთის ფილიალის ყოფილი მმართველი.

ამ სტატიას ავტორი უძღვნის აფხაზეთის ცენტრალური ბანკის პირველი თავმჯდომარის, დიდი პატრიოტისა და ინტერნაციონალისტის სვეტლანა შამბას ნათელ ხსოვნას.

დარწმუნებული ვარ, შალვა თადუმაძე ღირსეული მთავარი პროკურორი იქნება

გვესაუბრება უფლებადამცველი, „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორიის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, ადვოკატი გრიგოლ გაგნიძე.

— ბატონო გრიგოლ, ქვეყნის მთავარი პროკურორის დანიშვნა „საჯილდაო ქვად“ იქცა პოლიტიკოსებს შორის. დღეს მხოლოდ სამი კანდიდატია. თქვენ, როგორც უფლებადამცველი, როგორ შეაფასებთ მიმდინარე პროცესებს?

— დავიწყოთ იმით, რომ სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ქვეყნის მთავარი პროკურორის თანამდებობაზე თავდაპირველად ოცი კანდიდატი დასახელდა. მთავარი პროკუროპრის კანდიდატის დასახელებაში ფართო საზოგადოება გახლდათ ჩართული, რასაც დემოკრატიულ, გამჭვირვალე პროცესად ვაფასებ. თავად მოქმედმა პროკურორებმაც წარადგინეს საკუთარი კანდიდატურები. ამის გამო მედიის ნაწილმა ისიც განაცხადა, პროკურატურაში დაპირისპირებააო. რაც, რბილად რომ ვთქვათ, არასწორია. პირადად ჩემი აზრით, სწორედ ეს გარემოება მიუთითებს პროკურატურის დამოუკიდებლობაზე. დღევანდელი ხელისუფლების მიზანიც იყო და არის პროკურატურის დამოუკიდებლობა.

— როგორ შეაფასებთ „ქართული ოცნების“ კანდიდატს შალვა თადუმაძე?

— კანდიდატების დასახელების პროცესში ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების მხრიდან იყო პრეტენზიები შალვა თადუმაძის მიმართ. აქვე გეტყვით, რომ თადუმაძის კანდიდატურას ჩვენმა ორგანიზაციამ დაუჭირა მხარი და ამიტომაც აღარ დავაყენე ჩემი კანდიდატურა მთავარი პროკურორის პოსტზე. ოპოზიციის პრეტენზია გახლდათ ის გარემოება, რომ თადუმაძე პოლიტიკურმა გუნდმა წარადგინა და მუშაობის დროს მათი ინტერესების დამცველი იქნება. სამაგიეროდ, „გაევროპელებულმა ნაცებმაც“ წარადგინეს თავიანთი კანდიდატი შალვა შავგულიძე. აქედან რა გამოდის? შავგულიძე ოპოზიციას დაიცავს? რაც მათი ბრალდების მსგავსად, პოლიტიკური გადაწყვეტილებაა და ამ გარემოებამ გაანეიტრალა შალვა თადუმაძეზე თავდასხმები, მაგრამ დროებით.

— თქვენი აზრით, ვინ იქნება საქართველოს მთავარი პროკურორი?

— პოლიტიკური მოცემულობიდან გამომდინარე, ჩემი აზრით, შალვა თადუმაძეს აქვს დიდი შანსი, გახდეს ქვეყნის მთავარი პროკურორი. ამას მხოლოდ პირადი სიმპათიებიდან გამომდინარე არ გეუბნებით. მას აქვს პოტენციალი, გაიმარჯვოს და გაართვას თავი ასეთ დიდ და საპასუხისმგებლო თანამდებობას. აქვე მინდა ვუსურვო და იმედია, იქნება კიდეც ობიექტური და სამართლიანი, იყოს მომთხოვნი. ასევე ვიმედოვნებ, რომ გააგრძელებს პროკურატურის სისტემაში დაწყებულ რეფორმებს და ბოლომდე მიიყვანს დაწყებულ სამართლიანობის აღდგენის პროცესებს, რასაც ათასობით ადამიანი ელოდება. აქვე მინდა აღვნიშნო ერთი გარემოებაც. ქვეყნის სამართლის ისეთ მნიშვნელოვან ინსტიტუტს, როგორიც პროკურატურაა, ოპოზიციის, არასამთავრობო ორგანიზაციების თუ პრესის მხრიდან შეტევის გამო თავდაცვის რეჟიმში უხდება ბოლო პერიოდში მუშაობა, რაც, ჩემი აზრით, სახელმწიფოებრივი თვალთახედვით, გაუმართლებელია. ესეც უნდა გაითვალისწინოს მომავალმა ახალმა მთავარმა პროკურორმა და მისი მთავარი, ძირითადი საზრუნავი პროკურატურის იმიჯის ამაღლება გახდეს.

— და ბოლოს, თქვენი აზრით, რა შეიცვლება საქართველოს პროკურატურის მუშაობაში ახალი ხელმძღვანელის მოსვლის შემდეგ და რა მიგაჩნიათ უპირატესად, რასაც მან პირველ რიგში უნდა მიაქციოს ყურადღება?

— რას მოიმოქმედებს ახალი მთავარი პროკურორი პირველ რიგში და რას შეცვლის, ამის პროგნოზირება ძნელია. ჩემი მხრივ კი ვურჩევდი, რომ თავდაპირველად შექმნას გუნდი, რომელიც შეისწავლის რიგითი პროკურორების მუშაობის ეფექტურობას. თავისთავად, წარმატებული მუშაკები უნდა წახალისდნენ, ხოლო ე. წ. „საბიტაჟნიკები“ ან დაისაჯონ, ან დათხოვნილი იქნენ. როგორც ყველა დარგში, პროკურატურაშიც კვალიფიციური კადრების აღზრდას დრო სჭირდება — ხუთი-ექვსი წელი. არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ პროკურატურაში კვალიფიციური კადრების დეფიციტია. მიმაჩნია, რომ მთავარი პროკურორი თავისი თანამშრომლების პირველი დამცველი უნდა იყოს, თუ მას ენდომება, მათი მუშაობის ხარისხი ამაღლდეს. არის კიდევ ერთი უცნაურობა, რომელიც გვჭირს — საქართველოს კონსტიტუციის ახალი ჩანაწერით, რომელიც იანვრიდან შედის ძალაში, მთავარ პროკურორს პარლამენტი ექვსი წლის ვადით ნიშნავს. 2012 წლიდან მოყოლებული, ჩვენთან მთავარი პროკურორები თანამდებობას ორი-სამი წელიც ვერ ინარჩუნებენ, რაც კარგად არ აისახება არც ქვეყნის იმიჯზე და არც ამ მნიშვნელოვან და უპირველეს სამართლის ინსტიტუტზე. თუ მომავალშიც გაგრძელდა მთავარი პროკურორების ხშირი ცვლა, პროცესი დააკნინებს კონსტიტუციაში ჩანაწერის მნიშვნელობას. ჩემი, უფლებადამცველის გადასახედიდან ვხედავ, რომ მომავალ მთავარ პროკურორს უამრავი ძველი და ახალი პრობლემის მოგვარება მოუწევს. როგორც უკვე გითხარით, თანამდებობას, იმედია, შალვა თადუმაძე დაიკავებს, რომელმაც უნდა შექმნას მართლაც ქმედითი გუნდი, რომელიც გადაჭრის არსებულ პრობლემებს.

გია ბურდული
551 71 27 07

თუ უკრაინა ნატოს წევრი გახდება, მესამე მსოფლიო ომი გარდაუვალია

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის დონალდ ტრამპის ევროპულ ტურნეს, რომელიც ამ კვირაში დაიწყო, გაფაციცებით ადევნებენ თვალს მისი მხარდამჭერებიც და მოწინააღმდეგეებიც. მისი ერთ-ერთი მთავარი ვიზიტი ბრიუსელში ნატოს სამიტი იქნება. სწორედ ბელგიაში შეიძლება გადაწყდეს ტრამპის სამომავლო დამოკიდებულება, როგორც ნატოს, ასევე ევროკავშირის ორგანიზაციებზე, გასულ კვირას დონალდ ტრამომა ნატოს წევრ ქვეყნებს, ფაქტობრივად, შეუტია. მისი მთავარი გზავნილი წევრობისთვის დაწესებული გადასახადების პატიოსნად გადახდა იყო. მისი განცხადებით, გერმანია შიდა პროდუქციის მხოლოდ ერთ პროცენტს იხდის, აშშ კი — ოთხს. ტრამპმა ესპანეთის ხელისუფლებას წერილობით შეახსენა გაზრდილი ხარჯების გადახდის შესახებ. ესპანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში კი განაცხადეს, რომ მათი ქვეყანა ნატოს ყველა ღონისძიებაში მონაწილეობს და ხარჯების გაზრდაზე არ ფიქრობენ. „ჩვენ კვლავ უნდა გავაძლიეროთ ნატოს სამხედრო პოტენციალი. თუმცა, იმედია, არ დაგვჭირდება ძალის სადმე გამოყენება“, — განაცხადა ტრამპმა გასულ კვირას მხარდამჭერებთან შეხვედრისას.

ბრიტანული პრესა აღნიშნავს დასავლეთის ქვეყნებში არსებულ აშკარა განხეთქილებას. მიგრანტების პრობლემას, რომელიც ევროკავშირში „საჯილდაო ქვად“ იქცა, სავაჭრო იმიც ემატება. მიგრანტების გარდა, ევროკავშირში ახალი პრობლემა წარმოჩნდა, დარჩნენ თუ არა ორგანიზაციაში მთელი რიგი ქვეყნები. ამის გარდა, უკვე აშკარად ეწინააღმდეგებიან ნატოს გაფართოებას თუნდაც ისეთი ქვეყანები, როგორიც საფრანგეთია. იქაური მიმომხილველების განცხადებით, თუ უკრაინა ნატოს წევრი გახდება, მესამე მსოფლიო ომი გარდაუვალიაო. ამავე აზრს იზიარებს უკრაინელ პოლიტოლოგთა ნაწილიც.

საინტერესო შედარებები გაკეთდა ინგლისურ პრესაში, იმას, რომ ევროკავშირის სამიტი უშედეგოდ დასრულდებოდა, როგორც ირკვევა, ელოდნენ. მათი შეფასებით, ამას წინ დიდი შვიდეულის ასევე უშედეგო შეკრება უძღვოდა. ინგლისელმა ჟურნალისტებმა ყურადღება გაამახვილეს მოკავშირეებთან ტრამპის დაპირისპირებაზე. იხსენებენ, რომ ტრამპმა ადრე დატოვა დიდი შვიდეულის სამიტი და სინგაპურში ჩრდილოეთ კორეის ლიდერთან კიმ ჩინ ინთან შესახვედრად გაემგზავრა. ინგლისელი ჟურნალისტები მკითხაობენ, ახლაც ასე იქნება თუ არა. ნატოს სამიტის შემდეგ დონალდ ტრამპი 16 ივლისს ჰელსინკში რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს ხვდება. განმეორდება თუ არა ნატოს სამიტზეც ტრამპის დიდი შვიდეულის დროს განხორციელებული დემარში, პოლიტოლოგებისთვის გაუგებარია. თუმცა აღსანიშნავია, რომ ტრამპი ბოლო პერიოდში ორივე ქვეყნის ლიდერს საკმაოდ თბილად იხსენიებს.

კომპლიმენტები ერთი საკითხია, მაგრამ აშშ-ს ჩრდილოეთ კორეელები უკვე ემდურებიან, რადგან სამხრეთ კორეიდან ჯარების გაყვანა ჯერ არ დაუწყია. გასულ კვირას ორი დღე იმყოფებოდა ჩრდილოეთ კორეაში აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მაიკლ პომპეო, რომელიც იქაურ მაღალჩინოსნებს შეხვდა. რა საკითხზე ისაუბრეს, უცნობია. თუმცა ვიზიტი მან ნაყოფიერად შეაფასა. ამის გარდა, აშშ კორეის ნახევარკუნძულის თაობაზე მოლაპარაკებას აწარმოებს იაპონელებთან და სამხრეთ კორეელებთან.

რაც უფრო ახლოვდება ტრამპი-პუტინის შეხვედრა, მით უფრო იძაბება პოლიტიკური ვითარება აშშ-სა და ევროპაში. დონალდ ტრამპს გადაწყვეტილი აქვს, პირისპირ, ყველა თანაშემწისა და მრჩევლის გარეშე შეხვდეს და ესაუბროს ვლადიმირ პუტინს. ევროპელი და ამერიკელი მიმომხილველების ცნობით, სწორედ ეს გარემოება აშინებთ ტრამპის გარემოცვას და ევროპელ პოლიტიკოსებს. გასულ კვირას ცნობილი გახდა, რომ პრეზიდენტების წინმსწრები პირველი დიპლომატების შეხვედრა არ გაიმართება. მაიკლ პომპეომ დაძაბული გრაფიკი მოიმიზეზა და ბოდიში მოუხადა კოლეგა სერგეი ლავროვს, რომელიც ირონიულად შეხვდა ამ ცნობას.

გია ბურდული
551 71 27 07

„უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე“

კეშას ბლოგი

დღისით ერთი საათით ჩამეძინა და მესიზმრა, რომ მიყვარდა და ვუყვარდი...

გაღვიძებულს უცნაური გრძნობა მქონდა... მივხვდი, რომ მიკვირდა, სიყვარული მიკვირდა...

ბაბუა არასოდეს ყვებოდა პირველ ცოლზე, რომელზედაც გადასახლებაში მყოფმა იქორწინა. მხოლოდ ერთხელ მითხრა ხმა და თვალებჩამქრალმა: მან მე გადამარჩინა, ფიზიკური და სულიერი სიკვდილისგან მიხსნა...

მერე იყო ბებო, ჩემთვის ბებო, ბაბუასთვის საყვარელი ქალი, რომლისთვისაც არასოდეს უღალატნია. სოფლად ცხოვრობდნენ და ბებოს თოხი და ბარი არასოდეს სჭერია ხელში, ბოსელში არ შესულა, ვენახი არ გაუსხლავს, თევზი და ხორცი არ დაუჭრია – მძიმე საქმე აკრძალული იყო ჩვენს სახლში

ქალისთვის. უყვარდა ბაბუას ბებო, თორემ, რომ არ ყვარებოდა – ისეთი ნატანჯი და გადაღლილი იყო, იქეთ იყო საზრუნავი და მოსავლელი.

უსიყვარულოდ მზეც ამოდის ცის კაბადანზე უკვე, სიოც ქრის და ჯანდაბა, ტყეც კი კრთება უსიყვარულოდ – მხოლოდ უკვდავებას ვერ ეხება უსიყვარულობა, უკვდავებას ვერ დაეპატრონა უსიყვარულობა – რომ არა სიყვარული, რა მაიძულებდა ბაბუაჩემი უკვდავმეყო ჩემს გულში, ჩემს სიტყვებში, ჩემს ქცევებში...

როგორ დავიჯერო იმ ქმრების სიყვარული, რომელთა ცოლებიც სხვა ქვეყნებში მუშაობენ და წლობით ვერ ბრუნდებიან ოჯახებში? – ხშირად ვფიქრობ, რას უნდა ეიძულებინა ბაბუჩემი, ბებოსთვის თვალზე მოფარების საშუალება მიეცა – არათუ, ქვეყნიდან თავისი ხელის გადაეხვეწა და არ არის ასეთი მიზეზი, არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს.

როგორ დავიჯერო იმ ცოლების სიყვარულის, რომელთა ქმრებიც უკვე მესამე ბინის ფულს აგროვებენ და მეხუთე მანქანას უცვლიან ცოლს და მაინც არ ეუბნება ოჯახი: – კმარა, საკმარისია, ჩამოდი, დაგვიბრუნდი... როცა ბაბუამ ბებია ცოლად წამოიყვანა, ხო, ასე ხელი მოკიდა და წამოიყვანა, მიიყვანა მდელოსთან და უთხრა – აი, აქ ავაშენებ სახლს...

მეტყვიან ახლა მავანნი, რომ მაშინ სხვა დრო იყო... რომ მაშინ არ ჭირდა ცხოვრება... იყო ერთი ქალი, რომელიც ქმარს და შვილებს ეუბნებოდა, რომ ქათმის მხოლოდ ფრთები უყვარდა, სხვა ნაჭერს არ ჭამდა. სინამდვილეში ასე იმიტომ იქცეოდა, რომ ქათმის ყველა სხვა ნაჭერი შვილებს და ქმარს უყვარდათ და არ უნდოდა ჩაზიარებოდა. ერთხელაც, ავად გახდა და საავადმყოფოში ყველა დღე მიჰქონდათ მნახველებს ბულიონი, რამდენიმე ქათამს კლავდნენ, რომ ბევრი ფრთა მოეგროვებინათ, აკი, ყველას ეგონა, რომ მხოლოდ ფრთებს ჭამდა... იყო ასეთი ქალი, მყავდა ასეთი ბებო.

მხოლოდ უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ, მხოლოდ სიყვარულია უკვდავი, სხვა ყველაფერმა ფერი დაკარგა, არომატი დაკარგა, დანიშნულება დაკარგა, სხვა ყველაფერი უსიყვარულობაში დაიკარგა.

ერთი გოგო გავიცანი, მეორე ქმარი ჰყავს – ევროპაში ვაცილებ ხვალ სამუშაოდ, ერთი სული მაქვს მანქანას როდის მიყიდის და აუცილებლად მიყიდის, რადგან ძალიან, ძალიან ვუყვარვარო – ამ საუბრისას ქუდი აუფრიალა ქარმა. რომ დაბრუნდა, მითხრა, დაინახე რა კარგ ბიჭთან მიფრინდა ჩემი ქუდი, მგონი ბედიაო.

ისეთი ძუნწია ერთი ჩემი უბნელი ბიჭი, ისეთი ძუნწია, ქარს არ გაგიყოფს, რომ შეეძლოს. პირღიაც არის, ამიტომ ყველა მისი ისტორია ვიცით. ხოდა, ყველა პაემანი პარკში აქვს, თან ისეთ პარკში, სადაც არაფერი იყიდება. მაგრამ, ამას წინათ გამოეწყო, თავი მოიქაჩლა და გოგო ისეთ მაგარ კაფეში დაპატიჟა, სამი კვირა არ დაელია სალაპარაკო, როგორ გადაიხადა 2 ჭიქა ყავაში 50 ლარი. ჩვენ რომ შეყვარებული გვეგონა ეს ჩვენი ძუნწი, გამოგვიტყდა, ფულიანი გოგოა და პარკში ვერ წავიყვანდი, ფულიანი გოგოა და შთაბეჭდილების მოხდენა მინდოდა, ფულიანი გოგოა და რა ვიცი სად და როგორ გამომადგებაო...

სიყვარულის ყიდვაც შეიძლება ახლა, პაემნის ყიდვა შეიძლება, ადამიანის ნახვის ყიდვა შეიძლება – ასე, მარტივად, ვითომ ჭიქა ყავას ყიდულობ, ვითომ ნაჭერ ნამცხვარს ყიდულობ... შეგიფუთავენ კიდეც, შეგიცვლიან, თუ არ მოგეწონება, შეგიკეთებენ, თუ არ დაგაკმაყოფილებს – მთავარია, ფული გქონდეს და ყიდვა შეგეძლოს, მთავარია მყიდველი იყო...

გრძნობების ბორდელია დღეს ჩემს ირგვლივ ყველგან, გრძნობები იყიდება, ქერა და შავთმიანი, მაღალი და დაბალი, მსუქანი და სუსტი გრძნობები, გრძნობები იყიდება ჩემს ქალაქში, კაცის და ქალის, ფულიანის და უფულოს, ლამაზის და უშნოს გრძნობები.

გრძნობების ბორდელია დღეს ჩემს ქალაქში ყველა კუთხეში გახსნილი და მესმის ფულის შრიალის ხმა, მესმის ჩურჩული, ვინ ვის რა უყიდა, ვის როგორ გაუმართლა, ვინ ჩამოწერეს და ახალი იყიდეს...

იყო დროს, სხეულის ყიდვა გვიკვირდა, იყო დრო, სხეულის ყიდვა იყო სამარცხვინო – ახლა სული იყიდება, ახლა ემოცია იყიდება...

მონათმფლობელმაც კი იცოდა, რომ მონის სხეული იყო მისი საკუთრება და არა სული. მონამაც კი იცოდა, რომ მისი სხეულია პატრონის საკუთრება და არა სული. ფიქრებში და ემოციებში მონაც კი თავისუფალი იყო.

ახლა, უნდა უცინონ თოჯინა ბიჭებმა და გოგონებმა, ქალებმა და კაცებმა პატრონებს, ცუდი ფიქრები უნდა დაუმალონ, ემოცია უნდა გასცენ, სიყვარული უნდა მოაჩვენონ, ალერსი გულითადი უნდა აგრძნობინონ...

მალე სული აღარ დარჩება გასაყიდი, მალე სულსაც დავკარგავთ, მალე გასაყიდი აღარაფერი დაგვრჩება...

და უცებ, თუ ვიღაცას გულწრფელად შეუყარდა – გაუგებარია, უცნაურია, გასაკვირია, თითით საჩვენებელია, გოიმია, ჩამორჩენილია... როგორ შეუძლია, დარდსა და გასაჭირში არ მიატოვოს, როგორ შეუძლია ბრმად ენდოს, როგორ შეუძლია ისევ და ისევ, უფრო და უფრო უყვარდეს და სამაგიეროდ არაფერს ითხოვდეს, არაფერი სჭირდებოდეს სამაგიეროდ, რაში სჭირდება და სად გამოიყენებს მხოლოდ გრძნობას, რად უნდა სიტყვები და ემოციები ფულის და ფულით მოტანილის გარეშე...

რა ფასი აქვს სიცოცხლეს სიყვარულის გარეშე, რა ფასი აქვს არსებობას ემოციის გარეშე.

მაგრამ, ჩვენს ქალაქში გრძნობების ბორდელია გახსნილი, ამიტომ, ჩემს ქალაქში დასვამ თუ არა კითხვას: – რა ფასი აქვს სიცოცხლეს სიყვარულის გარეშე? – ათასი პასუხი გესმის, ყველას თავისი პასუხი აქვს, ათასობით პასუხია ჰაერში გაბნეული: – სიცოცხლის ფასი მაგარი ბაითია აუზით; მანქანა; მილიონი დოლარი; სპა-სალონები და მოგზაურობა; „გულაობა“ დილამდე; ბევრი წამალი...

მზე ამოდის კაბადონზე უსიყვარულოდ, სიო დაქრის უსიყვარულოდ, ტყე კრთება უსიყვარულოდ, სიცოცხლე გადის უსიყვარულოდ...

უკანასკნელი დინოზავრები, უკანასკნელი მოჰიკანები შვილებს ბებიების და ბაბუების, მამების და დედების სიყვარულზე ისე ვუყვებით, თითქოს ზღაპარს ვყვებოდეთ, თითქოს ლეგენდებს ვიხსენებდეთ...

გვიჭირს უკანასკნელ დინოზავრებს, გვიჭირს უკანასკნელ მოჰიკანებს ვასწავლოთ ჩვენს შვილებს ნამდვილი სიყვარულის ძალა, ნამდვილი ემოციის სიძლიერე – გრძნობების ბორდელად ქცეულ ქალაქში.

ყველა დღე ვკლავთ ჩემს ქალაქში სიყვარულს, ვკლავთ და ვაქუცმაცებთ, ვგუდავთ და სისხლისგან ვცლით, ის კი, მაინც მოდის, მოდის და გვისახლდება, გვისახლდება და ელოდება, მივიღებთ – თუ ისევ მოვკლავთ... მივიღებთ და ჩვენთვის დავიტოვებთ თუ გავყიდით...

არაფერს აქვს აზრი ასე უსიყვარულოდ, ასე ღალატ-ღალატ შექმნილ ოჯახს არა აქვს აზრი, ნაყიდ პაემანს არ მოაქვს სიამოვნება, ვერ გაბედნიერებს ნაყიდი სული, ვერ გიხარია ნაყიდი სხეულის თვალიერება...

ოდესმე, თუნდაც, ნახევარი ცხოვრების გავლის მერე, თუნდაც, ცხოვრების მიწურულს – სულ ერთია, მაგრამ ოდესმე, აუცილებლად უნდა გიყვარდეს, ისე უნდა გიყვარდეს, რომ თქვა: – ამისთვის ღირდა სიცოცხლე, ამისთვის ღირდა ლოდინი, არ ჩაუვლია ამაოდ ჩემს სიცოცხლეს...

გული მიჩერდება, როცა წარმოვიდგენ, რას გრძნობდა ბაბუა გულში, როცა საყვარელ ქალს ხელი ჩაჰკიდა, მდელოზე გაიყვანა და უშიშრად უთხრა: – შენ ჩემი ცოლი ხარ დღეიდან და მე აქ ავაშენებ ჩვენთვის სახლს.

გული მიჩქარდება, როცა წარმოვიდგენ, როგორ ჩახარა ბებომ თავი მორცხვად და დაეთანხმა, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ მართლა ედო ბაბუას ჯიბეში, იმ მდელოზე ასაშენებელი, სახლის ფული.

და ზუსტად ვიცი, სანამ ეს ისტორია მემახსოვრება, ვერავინ მიყიდის და არავის ვიყიდი.

და ჩემი შვილიც, ჩემს ბოლო ამოსუნთქვამდე მოისმენს ლეგენდებს გულწრფელ სიყვარულსა და ემოციებზე, სიყვარულით შექმნილ ოჯახებზე და სიყვარულით შექმნილ ბავშვებზე...

მერე კი, ოდესმე, აუცილებლად მეტყვის: – მართალი იყავი, ამისთვის ღირდა სიცოცხლე...

თუმცა, მანამდე ჩემი ჯერია, მანამდე მე უნდა ვთქვა, რომ ამაოდ არ ჩაუვლია ჩემს სიცოცხლეს...

555 46 08 04

დიახ, ეს ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული იდეოლოგიური დივერსიაა!

ღია წერილი „საერთო გაზეთის“ მთავარ რედაქტორს ბატონ ვახტანგ ხარჩილავას

ბატონო ვახტანგ,

მე მუდმივად ვადევნებ თვალყურს თქვენი რედაქტორობით გამომავალი გაზეთის პუბლიკაციებს, როგორც ჩვენი ქვეყნის ეროვნული გულისცემის ერთ-ერთ ობიექტურ გამომხატველს, და არცთუ იშვიათად მქონია აქტიური გამოხმაურების სურვილი. ახლახან თქვენს გაზეთში დაიბეჭდა ჩვენი საერთო მეგობრის, მწერალ ზურაბ თორიას გულმტკივნეული წერილი ქართველური ენების თემით მეტად საეჭვო ინსინუაციებსა, პროვოკაციებსა და, ზოგჯერ, ფსევდომეცნიერულ გაუგებრობებთან დაკავშირებით.

ამჯერად პირადად ჩემი ყურადღება კიდევ ერთხელ მიიქცია თქვენმა, მთავარი რედაქტორის სრულიად ობიექტურმა, მართალმა პოზიციამ, როდესაც ამ თემებით სპეკულაციას უწოდებთ „იდეოლოგიურ დივერსიას ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ“ და იმასაც სწორად მიუთითებთ, რომ ამგვარი პუბლიკაციები ასრულებენ მაპროვოცირებელ როლს საპირისპირო სულისკვეთების (აღარ გავიმეორებ მათს თქვენეულ შეფასებას) ახალ-ახალი ჯგუფების აღმოსაცენებლად ჩვენი განსაკუთრებული ეროვნული სიმდიდრის, ჩვენი ქართველური ენების დასაცავად; საბოლოო ჯამში კი ეს გულშემატკივარნიც, ხელოვნურად შექმნილი ანტაგონიზმის გამო, იმ პროვოკატორთა და მათ პატრონთა წისქვილზე ასხამენ წყალს და ა.შ.

ამ კონკრეტულ თქვენეულ შეფასებას კი, სრული თანხმობის ნიშნად, მთლიანი ციტატის სახით დავიმოწმებ: „ამგვარ მავნებლობაზე და მავნებლებზე მხოლოდ მეგრელები და სამეგრელო კი არ უნდა რეაგირებდეს, არამედ, პირველ ყოვლისა, უსწრაფესად უნდა რეაგირებდეს ქართული სახელმწიფო, მისი ხელისუფლება, შესაბამისი სტრუქტურები, რადგან ყველაფერი ეს სწორედ რომ ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ არის მიმართული“.

კვირიკაშვილმა, თავისი არცთუ ხანგრძლივი მმართველობის მიუხედავად, კოჰაბიტაციის ტვიფარით (გახსოვთ, ის მოვიდა ლოზუნგით – „კოჰაბიტაცია დამთავრდა“!) მოახერხა, მინიმუმ, ხელი შეეწყო რამდენიმე დივერსიული მოქმედებისათვის ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ, კერძოდ, ასეთი ქმედებები განხორციელდა ქართული სამოციქულო ეკლესიის მიმართ, ეროვნული უნივერსიტეტის მიმართ, ქართული მეცნიერებისა და, სახელდობრ, ქართველოლოგიური ცენტრების მიმართ, ქართული სახელმწიფო ენის მიმართ. ამიტომაც არის, რომ მის წასვლას დაუფარავად მაინცდამაინც ეს კოჰაბიტირებული ბნელი ძალები გამოეტირნენ და არცერთი – საღად მოაზროვნე ადამიანი...

ჩვენი უახლესი ისტორიის გათვალისწინებით, აბა, რა გასაკვირია, თუ ქართული სახელმწიფო ენის, საზოგადოდ, ენობრივი პოლიტიკის საკითხი ის მტკივნეული სფერო აღმოჩნდა, რომლის მიმართაც იდეოლოგიური დივერსანტების ინტერესებმა მართლაც განსაკუთრებული და შორსმიმავალი გამოვლენა ჰპოვა. ქართული სახელმწიფოებრიობის ხანგრძლივი კრიზისი, რა გასაკვირია, თუ ამ სფეროში განსაკუთრებულად გამოვლინდა. მართლაც არ გვჭირს სასახელო საქმე: მაშინ, როცა ყველა პოსტსაბჭოურმა სახელმწიფომ ენობრივი პოლიტიკა უკვე კარგა ხანია რაციონალურად დაალაგა, ჩვენ დღემდე ვერ მივაღწიეთ გარკვეულობას ამ საკითხში.

ამიტომაც ამ მიმართულებით მართლაც დიდ მონაპოვარად უნდა მივიჩნიოთ (და ასეც შეფასდა) სახელმწიფო ენის კანონი, რომელიც პარლამენტმა 2015 წლის 22 ივნისს დაამტკიცა. ჩვენს ქვეყანაში ამ კანონამდე მისვლას მეოთხედ საუკუნეზე მეტი დასჭირდა (მაშინ, როცა ბალტიისპირელებმა ჯერ კიდევ 1989 წელს შექმნეს ამგვარი საკანონმდებლო რეგულირების პრეცედენტი). განსაკუთრებით ინტენსიური კი ჩვენს სინამდვილეში აღნიშნული თვალსაზრისით იყო ამ საუკუნის პირველი წლები და „ქართული ოცნების“ პირველი პარლამენტის ორ-ნახევარი წელიწადი. რაც შეეხება ნაცხელისუფლების ხანგრძლივ შუალედს, მათ შესაძლებლობაც კი მოსპეს, მეტიც კვალის წაშლაც კი სცადეს ამ მიმართულებით გავლილი მნიშვნელოვანი გამოცდილებისა!..

პირადად ჩემთვის უფრო მოულოდნელი ის იყო, რომ კანონპროექტს ოცნების ხელისუფლების წიაღშიც არაერთი ღია და ფარული მოწინააღმდეგე დაუხვდა. მაინც ვინ იყო ის, ვინც ამ უმთავრესი სახელმწიფოებრივი სიმბოლოს აღიარებას აღუდგებოდა წინ? ეს იყო კოალიციის შემადგენელი ცალკეული პოლიტიკური ჯგუფები, ლიბერალები და მოდურად მოლიბერასტო სუბიექტები, ყველანაირ უფლებათა დამცველი არასამთავრობოები, გარდა იდენტობის შენარჩუნების უფლებისა, იდეოლოგიზებული მედიაქტივისტები, სამთავრობო სტრუქტურების „ინტერესთა ჯგუფები“ და თვით რიგითი მოხელეები, ე.წ. მეხუთე კოლონის „ვინაობაგამოცვლილი“ წარმომადგენლები, ნაციონალების დაჭურვილი აგრესიული ინტელიგენცია, ათასი ჯურის აგენტურა, რომელთაც ერთი საერთო ინტერესი აერთიანებს – ქართული სახელმწიფოებრიობის პროცესის შეფერხება...

ბევრი ამგვარი „მოღვაწის“ პერსონალურად დასახელებაც შეიძლება, მაგრამ ფურცლები მენანება გასაფუჭებლად!

ბატონო ვახტანგ,

ჩვენ ხომ 70-იანი წლების უნივერსიტეტიდანვე ვცნობთ იმ ხალხს, რომელიც განსაკუთებით შემოქმედებითი ყმაწვილკაცების დაშანტაჟებას, გამოჭერას, გაფუჭებას, თვალთვალს, მათი მომავლის გაფუჭებას ემსახურებოდა. მათი ვინაობა არ ვიცოდით, მაგრამ თვალით არ შეგვეშლებოდა. მაშინ ისინი იმპერიის სახელით ირჯებოდნენ, ახლა სხვადასხვა („თავისუფალ“) აგენტურულ თუ დივერსიულ ჯგუფებში არიან გადანაწილებული. ეშმაკმა იცის, ვინ ორმაგ ქსელშია გაბმული, ვინ – სამმაგში; მაგრამ მათი სულისკვეთება ისევ იგივეა, მათი მუხანათი ინტერესი ერთ სამიზნეში იყრის თავს – ეს ქართული ეროვნული სახელმწიფოა!..

ზუსტად იმ წინაპარი კომკავშირული იდეოლოგიით, ისინი „გაყიდიან დედას, მოკლავენ მამას“, ოღონდაც მათი მისამართით მოემართებოდეს თანხები მსოფლიოს ათასგვარი „თავისუფლების არხებით“.

აღნიშნულის ფონზე მართლაც გასაკვირია, როგორ დაუსხლტა ამდენს წინააღმდეგობას მითითებული საკანონმდებლო ინიციატივა სახელმწიფო ენის შესახებ (ერთ-ერთი მძაფრი განხილვის დროს ასეთი სწორი, მაგრამ არცთუ ტაქტიანი ფრაზაც კი წამომცდა: „ლუსტრაციის კანონი რომ მიღებული ყოფილიყო, ენის კანონი უკვე დიდი ხნის დამტკიცებული იქნებოდა“!). ამიტომაც ეკუთვნის ქების სიტყვები მაშინდელ კომიტეტის თავმჯდომარეს, ბატონ ივანე კიღურაძეს, თითქმის მთელ კომიტეტს, არაერთ სხვა პარლამენტარს, რომელთაც მამულიშვილური ძარღვი შენარჩუნებული აქვთ...

და, აი, ამ ჭირით მონაგრებულ კანონს კვირიკაშვილმა პრემიერის პოსტზე მოსვლისთანავე წიხლი დააჭირა და ორი წლის განმავლობაში არ აუშვა!

ხომ არ გგონიათ რაიმე განმარტება გაუკეთებია ეროვნული ღირსების ესოდენი შეურაცხყოფის გამო. არა და არა! და როდესაც იძულებული გახდა, ბოლოს და ბოლოს აღესრულებინა კანონი და შეექმნა კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო ენის დეპარტამენტი, ისე დაამახინჯა ამ კანონის რეალურად განმახორციელებელი ერთადერთი სამთავრობო სტრუქტურის იდეა, ისე დააკომპლექტა ის თავისი კოჰაბიტაციური ძალებით, რომ მის შემადგენლობაში აღმოჩნდა თითქმის ყველა ის, ვინც ღიად, აქტიურად იბრძოდა სახელმწიფო ენის კანონის წინააღმდეგ! რა გასაკვირია, თუ ამ ე.წ. დეპარტამენტის პირველივე ნაბიჯები წარმოაჩენს იმას, თუ რა სიკეთეს უნდა ველოდეთ მათგან!.. შევახსენებთ შესაბამის კომიტეტს: ჩვენ ვუთითებდით მოსალოდნელ საფრთხეს – ჯობია არ შეიქმნას ეს სტრუქტურა, ვიდრე შეიქმნას ისეთი, რომელიც იდეის დისკრედიტაციას მოახდენს!..

და, აი, მივადექი იმ ძირითად სათქმელს, რამაც ამ წერილის დაწერა მაიძულა, და ეს სათქმელი ისევ ქართველური ენების თემას შეეხება:

მართლაც დიდი დრო და გამოცდილების დაგროვება დასჭირდა იმას, რომ ისეთი სახით ჩასმულიყო ქართველური ენების ცნება სახელმწიფო ენის კანონის ჩარჩოებში, რომ, ერთი მხრივ, ამ ჩვენი ეროვნული სიმდიდრის მიმართ სწორედ სახელმწიფო ენის დაცვის ნიშნით წარმართულიყო ყველა საჭირო ღონისძიება, ხოლო – მეორე მხრივ, ეს სფერო დაცული ყოფილიყო ყოველგვარი ინსინუაციებისაგან საქართველოს ენობრივი მრავალფეროვნების ნამდვილი თუ ფსევდო მებაირახტრეებისაგან. ამ გარემოებათა გათვალისწინებით სახელმწიფო ენის კანონში ასეთი პუნქტი ჩაიწერა: „4.3. სახელმწიფო მუდმივად ზრუნავს ქართველურ ენა-კილოთა შენარჩუნებასა და შესწავლაზე, როგორც სახელმწიფო ენის სიცოცხლისუნარიანობის უმნიშვნელოვანეს პირობაზე“.

ბატონო ვახტანგ,

ჩვენს საზოგადოებას, ვფიქრობ, აღარ სჭირდება ამ პუნქტის მნიშვნელობის დამატებითი კომენტირება და ამიტომაც ამჯერადაც თავს ავარიდებ ამ საკითხთან დაკავშირებული არცთუ სასახელო ქვეტექსტების სრულად წარმოჩენას. საკანონმდებლო პროცესში ჩართულმა უმღლესი რანგის ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ ეს არის ყველაზე უფრო აწონილ-დაწონილი ფორმულა იმ რეალობისათვის, რასაც ჩვენი ერის ხანგრძლივი და უნიკალური ენობრივი ისტორია გვთავაზობს.

და იმ ვითარებაში, როდესაც ჩვენი სახელმწიფო ენა ესოდენ შეჭირვებულია დაგროვილი პრობლემების გამო, კვირიკაშვილის მიერ „მიზნობრივად“ დაკომპლექტებულმა სახელმწიფო ენის დეპარტამენტმა არა ამ სულისშემხუთველი ენობრივი ეკოლოგიის მისახედად, არამედ მისი ზემდგომი სახელმწიფო ენის კანონის რევიზიისათვის მოიცალა და, როგორც მოსალოდნელი იყო, თავისი კოჰაბიტაციური ზარბაზანი სწორედ ქართველური ენების საკანონმდებლო სტატუსს დაუმიზნა.

კერძოდ, მათ განუზრახავთ, ქართველური ენების ხსენება გააქრონ სახელმწიფო ენის კანონიდან და ეს მუხლი ისე შეცვალონ, რომ მასში ადვილად შეაღწიონ და ჩვენგან მოსავლელ, ჩვენს საგულშემატკივრო მემკვიდრეობას თავიანთი „ნიველირები“ მოარგონ ათასგვარმა უფლებადამცველმა სუბიექტებმა.

მე ღიად და არაორაზროვნად ვაფრთხილებ ქართველ საზოგადოებას, ვაფრთხილებ ჟურნალისტთა კორპუსს, ეროვნულ ინსტიტუტებსა და საღად მოფიქრალ ინტელიგენციას, ვაფრთხილებ ოფიციალურ სტრუქტურებს, მზადდება მორიგი პროვოკაცია ქართველური ენების თემის გამოყენებით! ეს იქნება ამ ნიშნით დივერსიის უკვე მესამე ეტაპი იქნება, რასაც შეიძლება გამოუსწორებელი შედეგები მოჰყვეს. ყოველი ასეთი პროვოკაცია ჩვენი ქვეყნისთვის კრიტიკულ პერიოდს ემთხვევა და თავისი მძიმე ნაკვალევიც დატოვა. პირველი ეტაპი, რა გასაკვირია, 90-იან წლებს ეკუთვნის და ის ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელია მაშინდელი სახელმწიფოებრივი ცნობიერების ეროზიისა; მეორე ეტაპი, ცხადია, ნაცხელისუფლების პერიოდზე მოდის და მაშინ ამ „ლინგვოპოლიტიკოსებმა“ ლამის საბოლოო გამარჯვებაც კი დაიგულეს. ვეჭვობ, ახლა ამ გამოცდილმა პროვოკაციულმა ძალებმა კვლავ მიიღეს რაღაც კრიტიკული პერიოდის მოახლოების ნიშანი და სხვა დესტრუქციულ პროცესებთან ჰარმონიაში ამოქმედდნენ...

დიახ, ბატონო ვახტანგ, ეს დივერსია ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ არის მიმართული...

იმედი მაქვს, ამჯერად მაინც გამოვიჩენთ მეტ სიფხიზლესა და ერთიანობას, რათა არ გავიდეს ეს მუხანათური ჩანაფიქრი!

ამ იმედით გწერთ ამ წერილსაც.

პატივისცემით,

ავთანდილ არაბული

აკადემიკოსი

აჭარის „კუდის“ ყოფილი უფროსის მოადგილემ ალექსანდრე ბალაძემ იცის, ვინ ესროლა როინ შავაძეს

აჭარაში საგანგაშო მდგომარეობაა

გვესაუბრება ძალოვანი სტრუქტურების ვეტერანი პოლკოვნიკი, ბატონი რეზო რომანაძე

— ბატონო რეზო, მნიშვნელოვანი ძვრები მიმდინარეობს აჭარის მთავრობაში, მაგრამ სანამ ამაზე ვისაუბრებდეთ, რას იტყვით, ივანიშვილი აჭარასაც „კულისებდან“ მართავდა?

— სატირალი რომ არ იყოს, სასაცილოა ზოგიერთი პოლიტიკოსის და ე.წ. საზოგადო მოღვაწის მოსაზრება, თითქოს ბიძინა ივანიშვილი კულისებიდან მართავდა პროცესებს. ივანიშვილი რომ პერიოდულად ჩარეულიყო სახელმწიფოს მართვაში, დღევანდელ მდგომარეობაში არ აღმოვჩნდებოდით. სწორედ ამან განაპირობა მისი პოლიტიკაში დაბრუნება.

მინდა შევახსენო ზოგიერთებს, რომ სწორედ ბატონმა ბიძინამ პრემიერ-მინისტრის რანგში გადადგა უაღრესად პრინციპული და ჭეშმარიტად დემოკრატიული ნაბიჯი: –2013 წლის თებერვალში ხელი მოაწერა საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტს სახელწოდებით:„ საქართველოს მთავრობის დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განვითარების სტრატეგიის ძირითადი პრინციპები 2013-2014 წლებისთვის.“ ამ მხრივ მთავრობისთვის პრიორიტეტებად უნდა წარმოდგენილიყო დეცენტრალიზაციისა და თვითმართველობის განვითარებების მიმართულებით არსებითი რეფორმების განხორციელება, რომელსაც მართვის დემოკრატიულობა და მოსახლეობისათვის საჯარო მომსახურების მიწოდების ეფექტიანობის მნიშვნელოვანი ზრდა უნდა განეპირობებინა.

დარწმუნებული ვარ, რომ ბატონი ბიძინა ივანიშვილი, როგორც ერთი რიგითი მოქალაქე, რეფორმატორი და პატრიოტი, ღრმად არის შეწუხებული არსებული მდგომარეობით, მაგრამ თავს იკავებდა აშკარა ჩარევებისაგან.

— რას ფიქრობთ, რა უნდა გაეკეთბინა ხელისუფლებას მისი მმართველობა მეტად ეფექტური რომ ყოფილიყო?

— ხელისუფლებამ ვერა და ვერ შეძლო ისეთი ქმედითი მექანიზმის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფდა სახელმწიფოს ეკონომიურ უსაფრთხოებას. საუბარი მაქვს მრავალმილიონიან არამიზნობრივ ხარჯებზე, აგრეთვე, წინა ხელისუფლების დროს გაქურდულ, გაფლანგულ, მიტაცებულ და მითვისებულ ასტრონომიულ თანხებზე, რომლის ნაწილის მობრუნება რეალურად წაადგებოდა ქვეყნის სწრაფ განვითარებას და მოსახლეობის კეთილდღეობას.

ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამკვიდრდეს ის პრეცედენტი, რომ სახელმწიფო მოსახლეობის კუთვნილ დოვლათს არავის შეარჩენს.

— რაც შეეხება აჭარას?

— უნდა აღინიშნოს, რომ აჭარაში არსებობს უამრავი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა, რომლის დაუნახავობა არ შეამცირებს მათ რაოდენობას. მოჩვენებითი კეთილდღეობა არ ასახავს რეალურ მდგომარეობას. აჭარა არის საქართველოს ფორპოსტი და მას განსაკუთრებული ყურადღება და ზრუნვა სჭირდება.

არ დავწრილმანდები ყველა პრობლემების ჩამოთვლით, შევეხები მხოლოდ რამდენიმეს:

— ბათუმის მოსახლეობაში ჩამოყალიბდა აზრი იმის შესახებ, რომ აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტაციის ნაწილი დაუმსახურებლად სარგებლობს ხალხის სახელით და ზოგიერთის კომპენტეციაში და განათლებაში შეაქვს სამართლიანი ეჭვი. უმაღლესი საბჭო დისტანცირებულია მოსახლეობისაგან და დაკავებული არის რუტინული საქმიანობით. იმავდროულად ვერ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გააჩნია ავტონომიური უფლება შეიტანოს დამატებითი ცვლილებები იმ რეგულაციებში, რომლის აუცილებლობა კარგა ხანია მომწიფებულია.

— აჭარის მოსახლეობაში დომინირებს აზრი იმის შესახებ, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო კვალიფიციური კადრების ჩართვა გადაწყვეტილებების მომზადების და მიღების პროცესებში, რამაც განაპირობა კიდევაც აჭარის მმართველობის ცვლილება.

— მართლია და ამიტომაც ხშირად ღებულობდა საეჭვო გადაწყვეტილებებს. ერთ მაგალითს მოვიტან: ცნობილია, რომ თურქულ ფირმა„ მეტროს“ მიენიჭა ექსკლუზიური უფლებები აჭარაში საკვანძო ობიექტების შეძენაზე, მათ შორის ისეთ მნიშვნელოვან ადგილას, როგორიც არის ზღვისპირა პარკი. ამით საერთოდ ამოღებულია დღის წესრიგიდან გადაწყვეტილებების მიღების ისეთი მნიშვნელოვანი პრინციპები, როგორიც არის ეროვნული ინტერესების გათვალისწინება.

მოსახლეობის აზრით, ადგილობრივი ხელისუფლება უნდა ჩარეულიყო ბათუმის ზღვისპირა პარკში უცხოელებისთვის ისეთი ობიექტების გადაცემაზე, როგორიც არის რესტორნები „შავი ზღვის მარგალიტი“ და „ძველი გემი“. მართალია, „შავი ზღვის მარგალიტი“ ეკუთვნოდა კონკრეტულ პირს, კერძოდ, არჩილ ხაბაძის სიმამრს მერაბ სირაბიძეს და ბიზნესმენ ალექსანდრე ინწკირველს, მაგრამ აუცილებლად გამოიძებნებოდა ისეთი არგუმენტაცია, რომელიც საკმარისი იქნებოდა, ეს ობიექტები დარჩენოდა აჭარის მოსახლეობას, ვინაიდან არსებობს გარკვეული ეჭვი პრივატიზაციის და გასხვისების სამართლიანობაზე.

როინ შავაძე

დღესაც ბურუსითაა მოცული აჭარის სამთავრობო რეზიდენციის უცხოელებზე გასხვისების ფაქტი, რომელიც მდებარეობდა ხელვაჩაურის რაიონის სოფ. სალიბაურში.

გასულ წელს პრესაში გაშუქდა ინფორმაცია და თქვენც იცით ამის შესახებ, რომ ხელისუფლებასთან დაახლოებული ერთი ბიზნესმენი, ყველა ნორმატივების და კანონის იგნორირებით აპირებდა გონიოში ზღვისპირა ზოლში კორპუსების მშენებლობას. ამის შემდეგ გაჩნდა მოლოდინი, რომ უკანონობას შეაჩერებდნენ, მაგრამ ნურას უკაცრავად, კორპუსები აშენებულია კანონის დარღვევით, ხოლო მოსახლეობის მოთხოვნა იგნორირებულია. ეს არის ანომალია. იზეიმეთ უკუღმართო ჩინოვნიკებო. პრეცედენტი დაშვებულია. ამის შემდეგ მიაყოლებენ მრავალ კორპუსს. უფრო მეტად გამრავლდებიან უცხოელები. გამდიდრდებიან გათავხედებული ბიზნესმენები და სახელმწიფო ბიუჯეტს კიდევ მეტად შეუმცირებენ რეალურ შემოსავალს.

მოსახლეობა კარგა ხანია ელოდა, რომ აჭარის ხელისუფლება შეძლებდა რედაქციის შენობის დაბრუნებას, რომელიც შეიძინა „პროკრედიტ ბანკმა“ და იქ ყველა ბეჭდვითი მედიის საშუალებას მოათავსებდა, დააბრუნებდა ფოსტას თავის ძველ ადგილზე, სადაც ახლა უცხოელების სამორინე ფუნქციონირებს, მაგრამ ასე არ მოხდა. ორივე შემთხვევაში მოიძებნებოდა საშუალებები, რომლებიც ხელს შეუწყობდა ამ საკითხების სამართლებრივ დარეგულირებას და ხელისუფლების ავტორიტეტი აიწევდა.

ახლახან ბათუმის „წყალკანალში“ ერთ-ერთ თანამდებობაზე აჭარის „კუდის“ ყოფილი უფროსის, ავადხსენებული თემურ პატარაიძის მოადგილე ალექსანდრე ბალაძე დაინიშნა, რომელიც განერიდა სამართლებრივ დევნას და თავს მეზობელ სახელმწიფოს აფარებდა. ბალაძესთან საზოგადოებას სერიოზული და მკაცრი შეკითხვები გააჩნია მის საქმიანობასთან დაკავშირებით, მათ შორის გახმაურებულ როინ შავაძის მკვლელობასთანაც კი. რომ არა საქართველოს პარლამენტის ერთ-ერთი დეპუტატის ჩარევა, ბატონი ბალაძე დღესაც დაუმსახურებლად ისარგებლებდა საჯარო სამსახურის უპირატესობებით. რომელი ერთი ჩამოვთვალო ამ პატარა საუბარში. საკითხები და პრობლემები გაცილებით მეტია, ვიდრე წარმოგიდგენიათ. ტრაგედია იმაში მდგომარეობს, რომ ანომალია, ანუ უკუღმაღთობა ჩვენს ირგვლივ საფუძვლიანად არის ფეხმოკიდებული.

— საინტერესოა, რა ფორმით არის დაკავშირებული ბალაძე როინ შავაძის მკვლელობასთან?

— ბალაძის უწყებაში დაიგეგმა როინ შავაძის წინააღმდეგ სპეცოპერაცია. მოგეხსენებათ, როინ შავაძე მზვერავი გახლდათ, პატრიოტი კაცი იყო, თუმცა, ზოგიერთებს მის ერთგულებაში ეჭვი ეპარებოდა. დაგეგმეს სპეცოპერაცია, რის შესახებაც მშვენივრად იცის ბატონმა ბალაძემ და ჩემი აზრით, ისიც იცის, ვინ ესროლა პირველმა შავაძეს, გამოსაძიებელია ეს საკითხები. კიდევ ვიმეორებ, ამის შესახებ ინფორმაციებს ფლობს ალექსანდრე ბალაძე. შავაძის მკვლელობაში ათამდე ადამიანს აქვს მონაწილეობა მიღებული და ამ საქმის გამოიძიება არავითარ პრობლემასთან არ იყო დაკავშირებული. კაცი სულ ტყუილად გასწირეს, შეეშინათ ბალაძეს და პატარაიძეს, არ გაეთქვა მათი ბნელი საქმიანობის შესახებ და მოიცილეს...

მინდა ოპონენტებს მარტივი შეკითხვა დავუსვა: რაო, ბატონებო, რაც ჩამოვთვალე და ბევრი სხვაც, რაც არ ჩამომითვლია, ბიძინა ივანიშვილის დავალებით და ჩარევით ხდებოდა? უკუღმართო ხელმძღვანელებო და ჩინოვნიკებო, ყველაფერი თქვენი უყაირათობის და ვინ იცის კიდევ რისი ბრალია.

ჩემი აზრით, სახელმწიფოში უნდა შეიქმნას პასუხის მოთხოვნის მექანიზმი, რომელიც დროულად შეუფასებს ნებისმიერ საჯარო მოხელეს გაკეთებულს და გაუკეთებელსაც, და იმავდროულად იქნება მნიშვნელოვანი რგოლი სამართლიანობის აღდგენის საქმეში.

— ბატონო რეზო, კვლავ შეგეკითხებით, რას იტყვით აჭარის მთავრობის ახალი ხელმძღვანელის კანდიდატურასთან დაკავშირებით. გაქვთ იმედი, რომ უკეთესი მმართველი იქნება?

— აჭარის მთავრობის ხელმძღვანელობის კანდიდატი ახალგაზრდა კაცია და ხელის შეწყობა სჭირდება, ჩვენ მზად ვართ მას მხარში ამოვუდგეთ. აჭარის ხელმძღვანელობამ აჭარის პრობლემები რეალურად უნდა დაინახოს და ქმედითი ნაბიჯები გადადგას, თორემ სიტუაცია აჭარაში საგანგაშოა.

ლოიალურ, ფასადურ მმართველს აჭარა ვეღარ აიტანს და ისიც იმავე გზას გაუყვება, რასაც პატარაძე დაადგა.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

კაცი, რომელიც მოვიდა ერთი საუკუნით ადრე და რამდენიმე საუკუნით გვიან

განმანათლებელთა და გონების საუკუნეში დაბადებული გერმანელი ექიმი ფრანც ფრიდრიხ ანტონ მესმერი (1734–1815) პარადოქსი იყო ამ ხანისთვის. ვოლტერის, დიდროს, და კალიოსტროს თანამედროვე მესმერი, ერთდროულად რაციონალისტიც იყო და ინტუიტიურიც. იგი სწავლობდა ავსტრიის დედაქალაქ ვენის სამიდიცინო სკოლაში. ძირფესვიანად შეისწავლა ოკულტური მეცნიერებები. ასევე ფილოსოფია, თეოლოგია და სამართალი.

1766 წელს მან დაწერა ნაშრომი „ადამიანის სხეულზე პლანეტების გავლენის შესახებ“. მესმერი ამბობდა რომ ციური სხეულები, დედამიწა და ცოცხალი არსებები გავლენას ახდენენ ერთმანეთზე მაგნიტური ნაკადის მეშვეობთ. მაგრამ მესმერი მისდა საუბედუროდ ძალიან ადრე და ძალიან გვიან, დაიბადა სუპერგონიერ განმანათლებელთა საუკუნეში. ვოლტერს მოსწონდა რუსეთის იმპერატორი ეკატერინე მეორე და არა მესმერი.



ეს იყო თავისი ყოვლისმცოდნეობით მკვეხარა ენციკლოპედისტების ხანა. იყო მატერიალისტების ფაქტიური დიქტატურა.

ასეთი პროფესორებისთვის მესმერი რა თქმა უნდა სულელი და შარლატანი ყბედი იყო, მაგრამ მესმერი არ დანებდა. მან გაცურა დინების წინააღმდეგ. მესმერმა თქვა რომ მთელ სამყაროს სერავენ უხილავი და მოუხელთებელი ტალღები რომელთაც აღიქვამს მარტო ინტუიცია. ეს წინ და უკან მოძრავი იდუმალი ტალღები მიდიან ასე ვთქვათ სულიდან სულამდე, ადამიანიდან ადამიანემდე.

მესმერს არ შეეძლო ამ ტალღების, ამ იდუმალი ძალის წარმომავლობის ნამდვილი სახელის და შემადგენლობის დადგენა. მაგრამ მან ანალოგიით ამ ძალას უწოდა მაგნეტიზმი. მესმერმა სთხოვა აკადემიებს, პროფესორებს თვითონ მათ შეემოწმებინათ საოცარი შედეგები რომლებსაც მან მიაღწია ამ მკურნალობით რომელიც უბრალოდ თითების ოდნავ შეხებით ხდებოდა. მესმერი ურჯულო მატერიალისტ პროფესორებს ემუდარებოდა წინასწარ აკვიატებული აზრის გარეშე შეემოწმებინათ ის საოცარი შედეგები რომლებსაც მან მიაღწია, განსაკუთრებით ნერვიულ ავადმყოფობათა განკურნების შემთხვევები. როგორც ირკვევა მესმერი კურნავდა შთაგონებით, ჩაგონებით.

მაგრამ პროფესორულმა აკადემიურმა მეცნიერებამ ჯიუტად უარყო წინადადება. მან თვალიც კი არ შეავლო მესმერის მიერ წარმოდგენილ და ასჯერ შემოწმებულ ფენომენებს. უცნობი ბუნების ეს უხილავი ენერგია, რომლის გადაცემაც შეიძლება, არ ჯდებოდა განმანათლებელთა და ენციკლოპედისტთა კონცეფციებში. მესმერი მოვიდა ერთი საუკუნით ადრე და რამოდენიმე საუკუნით გვიან.

თავისი ხრწნადი და მოკვდავი ტვინის ყოვლისშემძლეობაში დარწმუნებულ პროფესორებს არ ესმოდათ თუ რა ხდება ადამიანის შიგნი თ. არ ესმოდათ ცნობიერის და არაცნობიერის ურთიერთობისა. ამ პროფესორთა მეცნიერება არ აღიარებს სულის როგორც მოქმედებითი ძალის არსებობას. ასეთი პროფესორების მედიცინა ადამიანს თვლის მექანიზმად და ხედავს მარტო ფიზიკურ ავადმყოფობებს. ის ვერ გრძნობს ფსიქიურ ძვრებს. ის სულით ავადმყოფებისთვის აღიარებს მხოლოდ დალაქის ბარბაროსულ სიბრძნეს: კუჭის აშლას, სისხლის გამოშვებას, ცივ წყალს… სულით ავადმყოფებს აბავდნენ ბორბალზე და ატრიალებდნენ მანამდე სანამ ქაფი არ ამოვიდოდა ამ უბედურთა პირიდან. იყო მკურნალობად გამოცხადებული წამების სხვა ხერხებიც. ეპილეპტიკოსებს ტენიდნენ ნარკოტიკებით. ნერვიულ ავადმყოფობებს ვერაფერს შველიდნენ და აცხადებდნენ რომ ასეთი ავადმყოფობები საერთოდ არ არსებობს და როდესაც მესმერმა თავისი მაგნიტური გავლენით პირველად უშველა ამ უბედურებს აკადემიურმა მედიცინამ მესმერი გამოაცხადა შარლატანად!

ამ ნათელმხილველმა და გამჭრიახმა ადამიანმა მოიარა კრეტინი და ყოყოჩი მატერიალისტების აკადემიები ის ითხოვდა უბრალოდ დაინტერესებას მისი იდეით, დახმარებას და ამ ავანგარდულმა, ყოყოჩი კრეტინების მიერ შარლატანად გამოცხადებულმა მებრძოლმა აღმოაჩინა ბევრად მეტი, ფსიქოთერაპია, ჰიპნოზი, შთაგონება, ტელეპატიაც კი ფესვგადგმულია ტრაღიკული მესმერის ძიებებში და მიღწევებში… მაგრამ ამით არ მთავრდება ყველაფერი იგი მოცარტის მეგობარი გახლდათ. 1773 წელს ლეოპოლდ მოცარტმა მისწერა წერილი თავის მეუღლეს რომელიც ცხოვრობდა ზალცბურგში. „ბოლოს არ მომიწერია იმიტომ რომ ჩვენ გვქონდა დიდი კონცერტი ჩვენს მეგობარ მესმერთან ლანდშტრასსეზე გაშენებულ მის ბაღში…“ ავანგარდისტი ექიმი, მაგნეტიზორი მესმერი და მამა-შვილი მოცარტები კარგი მეგობრები იყვნენ. უკვე რამოდენიმე წლის შემდეგ, მოხდა ისე რომ კარის ოპერის სახელგანთქმულმა დირექტორმა, იმპერატორის ბრძანების საწინააღმდეგოდ არ მოინდომა მაშინ 14 წლის ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის ნაწარმოები **la Finita simplice**-ს შესრულება. აი აქ გამოჩნდა ალღოიანი მესმერის გულუხვობაც. მან ახალგაზრდა კომპოზიტორს მის განკარგულებაში გადასცა თავისი ღია პატარა თეატრი რათა იქ დადგმულიყო მოცარტის პირველი ოპერა **Bastien und Bastienne** პატარა მოცარტმა არ დაივიწყა მეგობრობის ეს ნიშანი. ის თავის წერილებში სულ ლაპარაკობდა თავის „ძვირფას მესმერზე“ სწავლული, ხელოვნებათა მოყვარული, ფილანტროპი მესმერი მდიდარიც იყო. ის ხომ დაქორწინდა ფინანსთა მრჩეველი ვან ბოშის ქვრივზე, რომელმაც მას დიდი ქონება მოუტანა. შარლატანად გამოცხადებული მესმერის დიდებულ სახლში მუდამ იყო გაშლილი სუფრა მისი მეგობრებისთვის და ახლობლებისთვის. შესანიშნავად სვამდნენ და ჭამდნენ სტუმრები ამ სწავლული, განათლებული და როგორც გულუხვი ისე ფულუხვი და სტუმართმოყვარე მესმერის სახლში. ამ სახლში ინტელექტუალურადაც ხალისობდნენ და ხარობდნენ. იქ ხშირად თვითონ ავტორები, სახლის ახლო მეგობრები, ანუ ჰაიდნი, მოცარტი, გლიუკი, ასრულებდნენ თავის ახალ და ჯერაც გამოუქვეყნებელ ნაწარმოებებს. იქ ისმოდა პუჩინის და რიგინის მუსიკაც. ამას გარდა ამ სახლში დაუღალავად საუბრობდნენ სულიერ პრობლემებზეც. მოკლედ მესმერის სახლი იყო მატერიალისტი აკადემიკოსების აკადემიის პარალელური აკადემია…

მესმერმა მონმარტრის ქუჩაზე მდგარ თავის სახლში გახსნა კლინიკა სადაც მიდიოდა ყველა კლასის ავადმყოფთა ბრბოები. მესმერის კაბინეტში ყოველ დღე ხდებოდა საოცარი სცენები. ბევრი ავადმყოფი ხტოდა და ყვიროდა რომ ისინი განიკურნენ.

სხვები ვარდებოდნენ მუხლებზე და უკოცნიდნენ დიდ მესმერს ხელებს. კიდევ სხვები მესმერს სთხოვდნენ მაგნიტური ნაკადის გაძლიერებას და მისი ხელების მკურნალი მოძრაობების გამეორებას. ამის შემხერდვარე მატერიალისტი პროფესორები და აკადემიკოსები სულ გადაირივნენ და გააფთრდნენ. მესმერი იძულებული იყო წასულიყო პარიზიდან.

მესმერს სჯეროდა უხილავისა, იმისა რომ სამყაროს მსჭვალავს მკურნალი ნაკადი თუ ენერგია რომელიც მოქმედებს ადამიანის სხეულზე. მესმერი დიდად იყო შთაგონებული ისააკ ნიუტონის ნაშრომებით და მიზიდულობის თეორით. ის ამბობდა პლანეტები მოქმედებენ ადამიანის სხეულზეც ძალით რომელსაც ის უწოდებდა ცხოველურ მაგნეტიზმს.

მესმერი დიდ დროს და ენრგიას ხარჯავდა იმისთვის რომ მოეხერხებინა სამყაროს გამმსჭვალავი უხილავი ენერგიების მართვა. მან დაიჯერა რომ მაგიური მკურნალი ძალა აქვს. პარიზში მოდურად ქცეული მისი სეანსების დროს მესმერი თავის პაციენტებს შთაგონებით აძინებდა და აცეკვებდა კიდევაც. პაციენტების ასეთი რეაქციები გამოწვეული იყო მესმერის ჰიპნოტური ძალით. თვითონ მესმერმა თავიდან არც იცოდა რომ მას ჰქონდა ეს ძალა. ინტენსიური ექსპერიმენტები – მესმერს თავისი მეთოდით შეეძლო პიროვნების თუ ბრბოს ემოციური მდგომარეობის გაძლიერება არანორმალურ მაგრამ კონტროლირებად მდგომარეობამდე. მესმერი პიროვნებათა ემოციური მდგომარეობის გასაძლიერებლად და ასამაღლებლად იყენებდა მუსიკას.

ჰიპნოტური შთაგონების შედეგად მესმერმა მრავალ პაციენტს უშველა. ის ამბობდა რომ შეუძლია სიბრმავის, პარალიჩის, კონვულსიების და სხვა ავადმყოფობების შველა.

მესმერმა სახელი გაითქვა სხვა ქვეყნებშიც. ის ბევრს მოგზაურობდა და ევროპულ არისტოკრატიას შთამბეჭდავად წარუდგენდა თავის ტექნიკას და შესაძლებლობებს. მართალია, მაშინდელმა ოფიციალურმა მატერიალისტურ-პროგრესისტულმა მედიცინამ მესმერი განდევნა, მაგრამ დღეს უკვე ვიცით რომ ჰიპნოზი და ტრანსი კაცობრიობისთვის სულაც არაა უცხო.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30



ანზორ ბაბუხადია – საშობლოს ჭირისუფალი

საქართველოს სასიცოცხლოდ სჭირდება ეროვნულ კონცეფციაზე დაფუძნებული ანუ ეროვნული ტრადიციების დაცვისა და შენარჩუნების მოთხოვნათა გათვალისწინებით დამუშავებული ეკონომიკის განვითარების პროგრამა, რომლის ბალავარს უნდა წარმოადგენდეს ცალკეული რეგიონების ბუნებრივი, საწარმოო და სხვა თავისებურებათა მაქსიმალური გათვალისწინება.

ანზორ ბაბუხადია

ანზორ ბაბუხადიამ კაცურად იცხოვრა, ღირსეული მამულიშვილივით იღვაწა და მოულოდნელად გადასახლდა მიღმიერ სამყაროში. ფიზიკურად და სულიერად გამორჩეული იყო, რაც ხელს უწყობდა თბილისის კოლორიტის შარავანდედით შემოსილიყო.

შემტევიც იყო და გულჩვილიც, უხვსიტყვიანი და უზადო პოლემისტიც, ხანდახან დამთმობიც, მაგრამ ყოველთვის პრინციპულობას ინარჩუნებდა, თუ საქმე საქართველოს ინტერესებს ეხებოდა.

მთელი შეგნებული ცხოვრება საქართველოს ჭირ-ვარამით იცხოვრა. სწორედ ამიტომაც დავარქვით წიგნს „საშობლოს ჭირისუფალი“.

წიგნში შესულია ანზორ ბაბუხადიას წერილები ქვეყნის საჭირბოროტო სხვადასხვა თემებზე. ბატონი ანზორის მრავალრიცხოვანი მეგობრების მოგონებები ამ მართლაც კეთილშობილ და ჭეშმარიტად პატრიოტ პიროვნებაზე.

16 ივნისს 75 წლის გახდებოდა. ჯერ კიდევ ბევრი რამის გაკეთება შეეძლო, მაგრამ, ვაგლახ, რომ არ დასცალდა.

უფალმა სასუფეველი დაუმკვიდროს მის სულს.

სარედაქციო საბჭო: ნოდარ ჭითანავა, რევაზ ბალანჩივაძე, გუჩა დათუნაიშვილი, დემიკო ლოლაძე, თინათინ კანკავა, ზაურ ნაჭყებია.

მადლობა

ჩემი ცხოვრება ისე აეწყო, რომ ბოლო დროს ხშირად მაქვს კონტაქტი ექიმებთან და მართლაც ღირსეულ ექიმებთან, რომლებზეც იტყვიან ხოლმე „ექიმად არის დაბადებულიო“.

ერთ-ერთ ასეთ ექიმზე მინდა გიამბოთ და გამოვხატო უდიდესი მადლიერება ამ მართლაც შესანიშნავი ადამიანის მიმართ.

მე, ნინო გოგრიჭიანი, გლდანის ხანდაზმულთა პანსიონატ „ბარბარე-XXI“-ში ვცხოვრობ. ოთხი თვის წინ მენჯ-ბარძაყის მოტეხილობით სამედიცინო კორპორაცია „ევექსის“ ტრავმატოლოგიურ ჰოსპიტალში“ მოვხვდი. ძალიან მძიმე მდგომარეობა მქონდა. ის შევხვდი ჩემს ექიმს, ქირურგ ზურაბ ბუხაიძეს, რომელიც დიდი გულისხმიერებით, თავისი საქმის უბადლო ცოდნით და ნამდვილი ღირსეული ექიმის თვისებებით არის დაჯილდოებული.

რეანიმაციაში შუაღამით მიმიყვანეს. მინდა გავიხსენო ეს მომენტი: ზურაბ ექიმს უთხრეს, რომ უმწეოთა თავშესაფრიდან ვიყავი. ვაკვირდებოდი ექიმის სახის გამომეტყველებას. მის სახეზე გულისხმიერება, თანაგრძნობა, დიდი სითბო გამოიხატა, რასაც ჩემთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

დილით საუზმით გამიმასპინძლდა, რომლის მოტანაზეც თვითონ იზრუნა.

საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგ ორჯერ მომინახულა თავის თანაშემწეებთან ერთად გლდანის პანსიონატში, იქ, სადაც მოსვლა ახლობლებსაც კი უჭირთ.

ევექსი
სამედიცინო კორპორაცია

ასეთი ექიმი როგორ შეიძლება დაგავიწყდეს? ეს სიკეთით სავსე ადამიანი, კარგი გვარის მატარებელი, ქირურგი **ზურაბ ბუხაიძე** გახლავთ.

ღმერთმა დიდხანს, დიდხანს გაცოცხლოთ, ჯანმრთელობა და სიხარული არ მოგკლებოდეთ, ჩვენო ზურაბ ექიმო.

უდიდესი პატივისცემით,
თქვენი ყოფილი პაციენტი

ნინო გოგრიჭიანი
თბილისი. სოფ. გლდანი,
ხანდაზმულთა თავშესაფრის
„ბარბარე-XXI“-ის ბენეფიციარი

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

* * *

— ვარ სასამართლოში სამოქალაქო საქმეზე მოწმედ გამოძახებული. არ გამაჩნია თანხები სასამართლოში გამოსაცხადებლად. შემიძლია თუ არა, ამ მიზეზით უარი ვთქვა სასამართლოში გამოცხადებაზე?

— პირველ რიგში განგიმარტავთ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 145-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მოწმედ დაბარებული პირი ვალდებულია გამოცხადდეს სასამართლოში და მისცეს სწორი ჩვენება. მოწმის სასამართლოში არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში იგი დაჯარიმდება 50 ლარით. სასამართლომ შეიძლება დაადგინოს მოწმის იძულებითი მოყვანა.

რაც შეეხება ხარჯებს, აღნიშნულთან დაკავშირებით მოგახსენებთ შემდეგს: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 146-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მოწმეს უფლება აქვს მოითხოვოს სასამართლოში გამოძახებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება კანონით დადგენილი წესით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია დაავალოს მხარეს, რომლის შუამდგომლობითაც გამოძახებულია მოწმე, წინასწარ გადაიხადოს მოწმის სასამართლოში გამოძახებასა და დაკითხვასთან დაკავშირებული ხარჯები. ასეთ შემთხვევაში მოწმეს გამოიძახებს სასამართლო მას შემდეგ, რაც მხარე შეასრულებს აღნიშნული ხარჯების გადახდის მოვალეობას.

* * *

— მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია. გვითხრეს, რომ შეიძლება მოხდეს საჯარო შეტყობინება. რას ნიშნავს საჯარო შეტყობინება?

— საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში — მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლო შეტყობინების შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებიდან ან გაზეთში ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

* * *

— უკვე რამდენიმე წელია, დაკარგულია ჩემი ახლობელი. მის ცოლ-შვილს აქვს მემკვიდრეობის მიღების პრობლემა. როგორ მოვიქცეთ?

— უნდა მიმართოთ სასამართლოს პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების თაობაზე. დაგიკონკრეტებთ:

მუხლი 21. პირის აღიარება უგზო-უკვლოდ დაკარგულად

1. დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ფიზიკური პირი შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილებით აღიარებულ იქნეს უგზო-უკვლოდ დაკარგულად, თუ მისი ადგილსამყოფელი უცნობია და ორი წლის მანძილზე იგი არ გამოჩენილა თავის საცხოვრებელ ადგილას. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ კანონით მემკვიდრეები მოიპოვებენ უფლებამოსილებას, უკვალოდ დაკარგულის ქონება მართონ მინდობილი საკუთრების სახით, მათ შორის, მიიღონ მისგან სარგებელი. ამ ქონებიდან მიეცემა სარჩო უგზო-უკვლოდ დაკარგულის რჩენაზე მყოფ პირებს და დაიფარება ვალები.

2. უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული პირის დაბრუნების ან მისი ადგილსამყოფლის აღმოჩენის შემთხვევაში უქმდება სასამართლოს გადაწყვეტილება მისი ქონების მართვის შესახებ. მეურნეობის სათანადო გაძღოლით მიღებული სარგებლის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მას არა აქვს.

* * *

— პირველი ინსტანციის სასამართლომ ჩემს სასარგებლოდ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელიც მოწინააღმდეგე მხარემ გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში. მივმართე სააღსრულებო სამსახურს, რომელმაც არ აღასრულა გადაწყვეტილება. რამდენად სამართლიანია ეს?

— ეს სამართლიანია, რადგან გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სააპელაციო წესით. ანუ, მას არ აქვს დასრულებული სახე, რაც იმას ნიშნავს, რომ გადაწყვეტილება არ არის შესული კანონიერ ძალაში. დაელოდეთ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას და ასევე, შემდეგ, თუ რომელიმე მხარემ გაასაჩივრეთ საკასაციო ინსტანციაში — საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას.

ყველაზე კურიოზული ტრაგედიები

ჩვენ ხშირად აღვფრთოვანებულვართ გამოჩენილი და სახელოვანი ადამიანების მიღწევებითა და ქმედებით, რომლებიც ცხოვრების სხვადასხვა დარგში ჩვენთვის მისაბაძ მაგალითებად ქცეულან.

მაგრამ ჩვენ არც კი დავფიქრებულვართ იმაზე, რამდენად რთული ცხოვრება აქვთ მათ.

ცხოვრებისეულ ისტორიებს, რომელთა შესახებაც გიამბობთ, შეიძლება ბედის ირონიაც ვუწოდოთ, რადგან ის, რაშიც ამ სტატიის გმირებმა წარმატებას მიაღწიეს, მათი ტრაგიკული ბედის მიზეზად იქცა.

წიგნის „როგორ შევინარჩუნოთ ქორწინება“ ავტორმა ცოლი ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლა

ამერიკელი დერეკ მედინა წიგნის „როგორ შევინარჩუნოთ ქორწინება“ ავტორია. წიგნში იგი მოგვითხრობს ცხოვრების არსზე, ახლობლების მიმართ სიყვარულზე, ერთგულებაზე და კიდევ, მრავალ მორალურ პრინციპზე.

როცა დერეკი 31 წლის გახდა, აშშ-ის პოლიციამ იგი მეუღლის მკვლელობის გამო დააპატიმრა.

ნაწამები მსხვერპლის ფოტოები მწერალმა ინტერნეტში დადო.

დერეკის მეუღლე 26 წლის ჯენიფერ ალფონსო იყო.

აღსანიშნავია, რომ მკვლელი თვითონ გამოცხადდა პოლიციაში. გამოსათხოვარ წერილში მან დაწერა, რომ ჩადენილის გამო ბარდება პოლიციას, რომ ყველა უყვარს და სთხოვს ადამიანებს, უყურონ მის შესახებ რეპორტაჟებს. მკვლელობის მიზეზი ის გახდა, რომ ცოლმა ხელი გამარტყა და ეს შეურაცხყოფა ვერ ავიტანეო, — განაცხადა დერეკ მედინამ.

ცნობილი ფსიქოლოგი დეილ კარნეგი მარტოობაში გარდაიცვალა

თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფსიქოლოგი დეპრესიაში ჩავარდა და ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, თავი მოიკლა.

მის წიგნებს მთელ მსოფლიოში კითხულობენ და ის დღემდე სამართლიანად ითვლება ადამიანად, რომელმაც შესანიშნავად იცოდა ურთიერთობების საიდუმლოებები და კარგად უწყოდა, რამდენად ფაქიზია ადამიანის ბედნიერება.

კარნეგის ყოველი წიგნი გამოსვლისთავანე ბესტსელერად იქცეოდა ხოლმე, ხოლო მისი შრომები დღემდე ბევრი ტრენინგის საფუძველი ხდება, რომლებიც პიროვნების განვითარებასა და ურთიერთობებს შეეხება.

ერთი შეხედვით, გეჩვენება, რომ ეს ადამიანი სრულყოფილად იცის ფსიქოლოგია და ნებისმიერ საკითხზე ყველაზე ზუსტი პასუხის გაცემა შეუძლია.

თუმცა, როგორც პრაქტიკამ უჩვენა, დეილ კარნეგიმ ვერ შეძლო, პასუხი გასცა მის წინაშე წამოჭრილ კითხვებზე.

ცნობილი პედაგოგი და აღმზრდელი ბენჯამინ სპოკი შვილებმა მოხუცთა თავშესაფარში ჩააბარეს

ცნობილმა პედიატრმა და პედაგოგმა სახელი იმით გაითქვა, რომ ბავშვის აღზრდაზე სრულიად სხვა თვალით შეგვახედა.

თავის შრომებში სპოკი ხაზს უსვამდა იმას, რომ მშობლებმა პატივი უნდა სცენ ბავშვის პიროვნებას ჩვილობის ასაკიდანვე.

ბავშვის აღზრდის მისმა იდეებმა გავლენა იქონია მშობლების რამდენიმე თაობაზე და ისინი უფრო მოქნილები გახადა შვილებთან ურთიერთობაში მაშინ, როცა საყოველთაოდ იყო გავრცელებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბავშვის აღზრდაში მთავარი დისციპლინაა.

ცხოვრების მანძილზე სპოკმა ბევრი სასარგებლო რჩევა მისცა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრებ ოჯახებს. თუმცა, თავისი რჩევები მას ვერ დაეხმარა — საკუთარმა შვილებმა უარი თქვეს ხანშიშესული მამის მოვლაზე და იგი მოხუცთა თავშესაფარში ჩააბარეს.

1998 წელს სპოკის მეუღლემ ხალხს მიმართა, რათა დახმარება გაეწიათ სპოკის მკურნალობაში. ბევრი ადამიანი გამოეხმაურა თხოვნას და თანხა შეგროვდა, მაგრამ საკუთარი შვილები კვლავ გვერდზე დადგნენ.

მსოფლიოში აღიარებულმა პედაგოგმა მარია მონტესორიმ საკუთარი შვილი გააშვილა

მარია მონტესორი ცნობილია, როგორც გამოჩენილი მეცნიერი, დოქტორი და ფილოსოფოსი, რომლის მსოფლმხედველობა განსაკუთრებული ჰუმანურობის გამოირჩეოდა.

1898 წელს მარია მონტესორის ვაჟი შეეძინა.

სამწუხაროდ, ქალის სასიყვარულო ურთიერთობები ვერ აეწყო და საკუთარი შვილი სხვა ოჯახს მისცა აღსაზრდელად.

წლების შემდეგ მარია მონტესორი ამტკიცებდა, რომ მისი მოწოდება სწორედ სხვისი შვილების მსახურებაშია.

ცხოვრების ირონია სწორედ ეს არის!

ბედნიერების შესახებ დაწერილი წიგნების ავტორმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა

სამხრეთ კორეელმა ტელეწამყვანმა, ბედნიერების შესახებ წიგნების ავტორმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

63 წლის ჩხვე იუნ ხიმ და მისმა მეუღლემ სასტუმროს ნომერში ჩამოიხრჩვეს თავი.

სიკვდილისწინა წერილში ცნობილმა მწერალმა ბოლო ნაბიჯი ჯანმრთელობის გაუარესებით — ფილტვებისა და გულის დაავადებების გამწვავებით ახსნა.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ თავის შრომებში ჩხვე იუნ ხიმი ადამიანებს მოუწოდებდა ბედნიერებისკენ, ბუნებასთან ჰარმონიისა და სიცოცხლით ტკბობისკენ.

ბედნიერების შესახებ ქალს დაწერილი ჰქონდა 20 წიგნი, მაგრამ თავად ვერ შეძლო, ბედნიერი გამხდარიყო.

ექსტრემალი ტელეწამყვანი სტივ ირვინი ელექტროსკაროსის ნაკბენით გარდაიცვალა

ცნობილი ავსტრალიელი შოუმენი, ველური ბუნების მკვლევარი სტივ ირვინი ტრაგიკულად გარდაიცვალა 44 წლის ასაკში.

2006 წლის 4 სექტემბერს, წყალქვეშა გადაღებების დროს ტელეწამყვანს თავს დაესხა ელექტროსკაროსი. თევზმა მაღლა ასწია კუდი, რომლის ბოლოზეც შხამიანი ნესტარი აქვს და მკერდში უჩხვლიტა სტივს. ნატურალისტს ნესტარი პირდაპირ გულში შეესო.

ბედის ირონიით, სტივ ირვინი სწორედ მტაცებელ ცხოველებთან და გველებთან სახიფათო ტრიუკებით გახდა პოპულარული და იმ დროს გარდაიცვალა, როცა იღებდა ფილმს „ოკეანის სახიფათო ბინადრები, რომლებსაც შეუძლიათ სასიკვდილო დარტყმა მოგაყენონ“.

კომპანია SEGWAY-ის მფლობელი მის მიერ გამოშვებულ სიგვეიზე მოგზაურობისას დაიმტვრა

ჯიმი ჰესელდენი სიგვეის მწარმოებელი ფირმის წარმატებული მფლობელი იყო.

2010 წლის 27 სექტემბერს 62 წლის მილიონერმა გადაწყვიტა საკუთარი სამფლობელო დაეთვალიერებინა. სწორედ ამ დროს დაკარგა მან მართვა, მდინარე ვარფში ჩავარდა და სიცოცხლისთვის შეუთავსებელი დაზიანებები მიიღო.

საინტერესოა, რომ „სანდი თაიმსის“ ვერსიის მიხედვით, იგი დიდი ბრიტანეთის 400 უმდიდრეს ადამიანს შორის მოიხსენიებოდა.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

ცნობილი ექიმი-სექსოლოგი არკადი მოროზოვი კურნავს ასაკობრივ და სხვა მიზეზებით გამოწვეულ სქესობრივ დისფუნქციებს. არკადი მოროზოვს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 577 43 25 13

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983
9 772233 398001